პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი,
30
ოქტომბერი
1935 წ.
№ 253 4409

ძლევამოსილმა სოციალისტურმა მშენებლობამ მოსპო ქალების საუკუნოებრივი ჩაგვრის საფუძველი. გაუმარჯოს მუშა-ქალებისა და კოლმეურნე-ქალების მზარდ საზოგადოებრივ და საწარმოო აქტივობას. ვიბრძოლოთ ფაბრიკების, ქარხნებისა და საკოლმეურნეო მინდვრების დამკვრელ ქალთა გადაჭრით დაწინაურებისათვის ხელმძღვანელ პოსტებზე!

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ლოზუნგებიდან სსრ კ-ში დიდი პროლეტარული რევოლუციის მე-18 წლისთავისათვის

საბჭოთა ქალი

ისტორიის ჩრდილს ჯერ კიდევ არ მოშორებია ის საშინელი, შავბნელი დრო, როცა იმ დიდ ციხეში, რომელსაც მეფის რუსეთი ეწოდება, მშრომელ ქალს აყრილი ჰქონდა ტუსაღის „უფლებებიც" კი. ორმაგი ექსპლოატაციის უღელი ედგა მას კისერზე: კაპიტალიზმისა და ოჯახის. ჩამორჩენილ განაპირა კუთხეებში ამას ზედ ერთვოდა მესამეც: ჩაგვრა-უვიცობით და სიბნელით შეიარაღებული სამღვდელოების, მოლებისა და ბაების მხრივ. ქალი — სახლში ქმრის ნივთი, კარში კი თავი სამუშაო ძალა,—ხმის ამოუღებლად იტანდა ბნელეთის მოციქულთა დაცინვასა და დამცირებას.

სიტყვა „დედაკაციც" კი შეურაცხყოფას ნიშნავდა და ნიშნავს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ქალს ადამიანად არ თვლიან. შემთხვევით როდი დააყენეს ქრისტიანული ეკლესიის იეზუიტებმა საკითხი ერთ-ერთ თავის ყრილობაზე: ქალი ადამიანია თუ არა! გაბატონებულმა ექსპლოატატორულმა კლასებმა, რასაკვირველია, უარყოფითად უპასუხა ამ კითხვას, ისე როგორც „მართლმადიდებელმა" ეკლესიამ. შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ჩვენში ძველად, მეფის — წყობილების დროს, მთიულები, მაგალითად, ასეთი სიტყვებით ხვდებოდენ ქალის დაბადებას: „შენს დაბადებას უკეთესი იყო ქვა დაბადებულიყო, — მას კედლის ასაშენებლად მაინც მოვიხმარდითო". განა ამაზე შორს შეიძლება წასულიყო ადამიანის ღირსების ფეხქვეშ გათელვა და დამცირება.

ქალი ძველი წყობილების დროს მოკლებული იყო ადამიანურ უფლებებს. მძიმე შრომა ოჯახში, ბავშვების აღზრდა, ქმრის მონობაში უსიტყვოდ ყოფნა—აი მისი ხვედრი. სრული უუფლებობა—აი მისი ერთადერთი „უფლება".

ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელ ქალთა უფროს თაობას კარგად ახსოვს წარსულის ეს სიმწარე. ტიპიურია ამ მხრივ ეგ. ნინოშვილის „ქრისტინეს" საშინელი ბედი, რაც მშრომელი ქალის საერთო ხვედრი იყო ცარიზმის სამფლობელოში. არაადამიანური დამცირების, ოჯახის და სახლკარის დაკარგვის, პროსტიტუციის გზით მიერეკებოდა მშრომელ ქალებს მემამულურ-კაპიტალისტური ექსპლოატაცია.

ასეა ახლაც კაპიტალის ქვეყნებში, სადაც ექსპლოატაციის მგლური კანონი ანადგურებს კაცობრიობის ნახევარს—მშრომელ ქალს. კაპიტალიზმის პირობებში ქალი გადაქცეულია საქონლად. აშკარა და ფარული ვაჭრობის, პროსტიტუციის საგნად.

მშრომელი ქალი იქ ყველაფერია—მამაკაცის ვნების წყურვილის დამაოკებელი. უსინდისო ყიდვა-გაყიდვის საგანი. „კეთილშობილი" საზოგადოების თვალში იგი არ არის ადამიანი, რომელსაც მამაკაცის თანაბრად შეუძლია საზოგადოებრივი შრომაც და ცხოვრებაც.

თანამედროვე ფაშისტურმა ბურჟუაზიამ ქალისათვის ისევ აღადგინა საშუალოსაუკუნოებრივი ფორმულა: „ბავშვები, სამზარეულო, ეკლესია", ამისთვის არის თურმე გაჩენილი ქალი. ეს პროგრამა ხორციელდება დღეს ფაშისტურ გერმანიაში. ჰიტლერმა ამას წინათ საქვეყნოდ განაცხადა კიდეც: ქალის მოვალეობა და უფლებაა მხოლოდ ბავშვი და სამზარეულოო. ამ გზით მიდის ფაშისტური იაპონია, სადაც ჩვეულებრივ, კანონიერ მოვლენად იქცა ახალგაზრდა ქალიშვილების დაგირავება და ვალში გაყიდვა. ასეა საბერძნეთშიც, სადაც ეხლახან აკრძალეს ქალის შრომის გამოყენება დაწესებულებებში. უბინაობა, რაც ქალს ქუჩის ამარად აგდებს. შიმშილი და ულუკმაპურობა, რაც დედას აიძულებს საკუთარი შვილი მოჰკლას—აი მშრომელ ქალთა ხვედრი „განათლებული", „ცივილიზებული" კაპიტალის სამეფოში.

სრულიად სხვაგვარად მოიწყო და სულ სხვა გზით ვითარდება ქალის ცხოვრება საბჭოთა წყობილების პირობებში. ქალმა არამარტო მამაკაცთან ფორმალური თანასწორობა მოიპოვა. საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ყველა პირობა მისი ფაქტიური თანასწორობისათვის. ქალთა მილიონები ჩვენს ქვეყანაში სწრაფად დაადგნენ ნათელი, მზიური ცხოვრების ამავალ გზას: სამზარეულოს კედლებს თავი დააღწიეს, ცოდნას, მეცნიერებას დაეწაფნენ, სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა არმიის რკინისებურ რიგებში მტკიცედ ჩადგნენ.

სულ რამდენიმე წელიწადი შეიქმნა საჭირო იმისათვის, რომ გამომჟღავნებულიყო დიდი შემოქმედებითი ძალა, რომელიც მშრომელ ქალთა ფართო მასებში ჩამარხული, ძალა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ გააღვიძა და სოციალიზმის მზემ აღმოაცენა.

არ არსებობს ჩვენი ცხოვრების არცერთი დარგი, სადაც ახლა ქალი საპატიო ადგილს არ იჭერდეს. მან შეაღო სოციალისტური საწარმოების კარები და იქ მოწინავე დამკვრელის ადგილი დაიჭირა. ქალთა საუკეთესო წარმომადგენლები ვინოგრადოვები, ოდინცოვები და სხვები ახლა აჩაღებენ სტახანოურ მოძრაობას შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, მამაკაცებს ღირსეულად ეჯიბრებიან და ხშირად სჯობნიან კიდეც.

ქალთა მილიონების წიაღიდან მოდის მარია დემჩენკო, კოლმეურნე ქალთა სიამაყე, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანი, სოციალისტური მიწათმოქმედების სტახანოველი. ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ქალიშვილების წრემ გამოშვა ნინა კამნევა, საბჭოეთის ლაჟვარდის შევარდენი—ქალი ჩვენი ქვეყნის ქალიშვილია, ბოლშევიზმის გმირულ ტრადიციებზე რომ იზრდებიან, მეცნიერების და ტექნიკის მწვერვალებს, რომ ეუფლებიან. ეს ისინია, პარაშუტით რომ ეალერსებიან სოციალიზმის ცის ტატნობს და უდიდესი ნებისყოფით სჭრიან ყინულოვანი არქტიკის მერიდიანებს.

ვინ მოსთვლის დემჩენკოსა და კამნევასავით რამდენი მოწინავე ქალია ახლა ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო, კულტურულ, სამეცნიერო, საბჭოთა, პარტიულ თუ სხვა პასუხსაგებ სამუშაოზე! ეს ქალთა მილიონები დაიძრნენ, ეს მათი ფსკერი ამოძრავდა. იგი ახლა თანდათან ზევით და ზევით მიიწევს და საზოგადოებრივი, სოციალისტური ცხოვრების ზედაპირზე მამაკაცის თანაბარ ადგილს ღირსეულად იჭერს.

უმაგალითოდ ამაღლდა ქალის არამარტო საზოგადოებრივი როლი. ჩვენს ხალხში ერთიანად გაიზარდა ქალის—დედისა და მოქალაქის — პატივისცემა. საბჭოთა ქვეყნის ქალიც გრძნობს დიდის დიდ მოვალეობას და პასუხისმგებლობას, რომელიც მას სოციალისტურმა სამშობლომ დააკისრა, გრძნობს და ღირსეულად, უდიდესი სიყვარულით მზრუნველობით დასტრიალებს თავს საბჭოთა ქვეყნის ლამაზ ყვავილებს—ბავშვებს.

პროლეტარული რევოლუციის გმირთა სამაგალითო დედების—ხალხთა დიდი ბელადის მშობლის კეკესთვის და კომინტერნის მესაჭის—გიორგი დიმიტროვის დედის პარასკევასთვის ჩვეული თავდადებითი და მზრუნველობით. ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი დედები სულ სხვაგვარ, სოციალისტურ პირობებში ზრდიან კომუნიზმის მომავალ მშენებლებს, თავის რძესთან ერთად აწოვებენ მათ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სიყვარულს, დიდი სტალინის სიყვარულს, მათთვის გმირულ თავდადებას.

საბჭოთა დედები ჩვენი ქვეყნის მეტად საპატიო ადამიანები არიან. ლენინურ-სტალინური პარტიის ზრუნვისა და ჩვენი პატივისცემის ღირსნი. და არამარტო ისინი. ბედნიერია მთელი საბჭოთა მიწაწყლის ყველა მშრომელი ქალი, რადგან ისინი მოესწრნენ სოციალიზმის მზიურ დღეებს, როცა პარტია და ხელისუფლება ასე მშობლიურად ზრუნავს თვითეულ ადამიანზე. ისინი მოესწრნენ სტალინის ეპოქას, როცა ბელადი და მასწავლებელი ასე დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენგან ქალის დაფასებას, მის აღზრდას ამხანაგური თანასწორობის საფუძველზე, მის დაწინაურებას ხელმძღვანელ სამუშაოზე.

ასე იქმნება ჩვენში მამაკაცის და ქალის ნამდვილი თანასწორობა, მათი ჰარმონიული, ბედნიერი, ლაღი მზიური ცხოვრება.

საბჭოთა ქალი—ეს სიტყვები, ვაისმის ამაყად!

ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ როდია დაძლეული კაპიტალიზმის ნაშთები. მშრომელი ქალისადმი არაამხანაგური, ხშირად არაადამიანური დამოკიდებულება, საზოგადოებრივი წარმოებისა და სახელმწიფოებრივი მმართველობაში საბჭოთა ქალის როლის შეუფასებლობა—აი, კერძოთ, რაში გამოიხატება ძველი ცხოვრების ეს ნაშთები. განა ცოტა გვაქვს ჩვენ ამის სამწუხარო მაგალითი?

ხელშეუხლებელია საბჭოთა ქალის მაღალი ღირსება! დაუნდობელი, შეუპოვარი ბრძოლა ამ ღირსების ვიგინდარა შეურაცხმყოფელთა წინააღმდეგ—ასეთია ჩვენი ურყევი მოწოდება.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს გადაცემის შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გზატკეცილების და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველო (ცეგზატრანსი) გადაეცეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, როგორც მისი ერთ-ერთი სამმართველო.
2. წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მოკავშირე რესპუბლიკათა გზატკეცილების და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოები (მთავგზატრანსები) და მათი ადგილობრივი ორგანოები გადასცენ მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს, ხოლო რუსეთის სფს რესპუბლიკის მთავგზატრანსი გაერთიანდეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცეგზატრანსთან, ამასთან რუსეთის სფს რესპუბლიკის ყოფ. მთავგზატრანსის ორგანოები ავტონომიურ რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში უშუალოდ დაემორჩილდეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცეგზატრანსს.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **გ. პეტროვსკი.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. მოლოტოვი.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. აკულოვი.**

მოსკოვი, კრემლი;
28 ოქტომბერი, 1935 წ.

ჩინეთის წითელი არმიის ოპერაციები

ბეიპინი, 28 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო სწერს, რომ ოქტომბრის დამდეგს ჩინეთის წითელი არმიის ნაწილები კვლავ შეიჭრნენ დამბას და მაოგუნის რაიონებში, სიჩუანის და სიკანის პროვინციების საზღვარზე, მაგრამ შემდეგ მაოგუნის რაიონიდან დაიძრნენ ჩრდილოეთ აღმოსავლეთით, გუანსიანის მიმართულებით.

სააგენტოს სიტყვით, ჩინეთის წითელი არმიის ნაწილები ამასწინათ შეიჭრნენ კანდინის რაიონში (სიკანის პროვინციის დედაქალაქი).

„სენტრალ ნიუსის" სააგენტოს გადმოცემით, ჩანკაი-შიმ გადააყენა ნანკინის ჯარების მე-23 დივიზიის სარდალი ლოძე-როუ იმისათვის, რომ მან ვერ შესძლო ჩინეთის წითელი არმიის წინსვლის შეჩერება. ლო ძე-როუს ადგილზე დაინიშნა ტან-ში-ჩუნი. (ადს).

□ □ □ □ □

იტალიის ჯარების შეტევა ერიტრეის ფრონტზე

რომი, 28 ოქტომბერი. იტალიის ოფიციალური ცნობებით, დღეს გრძელდება იტალიის ჯარების შეტევა მდინარე ფარამაის რაიონს გაღმა (ერიტრეის ფრონტი). ეს რაიონი უკვე დაკავებულია იტალიელების მიერ. ამ ცნობის თანახმად, ჯარებს სერიოზულ წინააღმდეგობას არავინ უწევს (ადს).

□ □ □

სანქციები იტალიის წინააღმდეგ

ლონდონი, 28 ოქტომბერი. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა გამოიყენოს იტალიის წინააღმდეგ ფინანსიური და ეკონომიური სანქციები.

პარიზი, 27 ოქტომბერი. როგორც მადრიდიდან იუწყებიან, გამოქვეყნდა დეკრეტი, რომლის თანახმად ძალაში შედის ფინანსიური სანქციები იტალიის წინააღმდეგ.

ჟენევა, 27 ოქტომბერი. ჩილე იუწყება, რომ იგი მხარს უჭერს სანქციების გამოყენებას იტალიის წინააღმდეგ და კრძალავს იარაღისა და სამხედრო მასალის შეტანას იტალიაში.

ლატვიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება იტალიის წინააღმდეგ ფინანსიური სანქციების გამოყენების შესახებ.

ამსტერდამი, 27 ოქტომბერი. ჰოლანდიის სენატმა ერთხმად დაამტკიცა კანონი, რომელიც მთავრობას რწმუნებას აძლევს გამოიყენოს სანქციები იტალიის წინააღმდეგ. საგარეო საქმეთა მინისტრმა დე-გრაფმა სენატში განაცხადა, რომ სანქციების კანონი არ ეხება არც სატრანზიტო მიმოსვლას ჰოლანდიაზე, არც ქვანახშირის ექსპორტს (ადს).

□ □ □

დაგა-ბურის რაიონში ჩამოაგდეს იტალიის ყუმბარმზიდი

ლონდონი, 28 ოქტომბერი. აბისინიელთა წყაროებიდან მიღებული ცნობებით, დაგა-ბურის რაიონში აბისინიელებმა ჩამოაგდეს იტალიის ყუმბარმზიდი (ადს).

□ □ □

ავსტრიიდან იტალიაში საქონლის უბაჟოდ შეტანა

რომი, 27 ოქტომბერი. დაამტკიცეს ხელშეკრულება ავსტრიიდან იტალიაში თუჯის და ფოლადის უბაჟო იმპორტის შესახებ. ხელშეკრულება ხელმოწერილია ჯერ კიდევ 30 სექტემბერს, მაგრამ ამაზე დღემდე არაფერს იტყობინებოდნენ (ადს).

□ □ □

იაპონელი მილიტარისტები სთავაზობენ თავიანთ დახმარებას

შანხაი, 28 ოქტომბერი. როგორც სიმბუნ-რენგოს სააგენტო იტყობინება, იაპონიის არმია უახლოეს დროში წინადადებას მისცემს ჩან კაი-შის დადოს შეთანხმება „ჩრდილო-ჩინეთის გასაბჭოების წინააღმდეგ საერთო წინასწარ ღონისძიებათა შესახებ".

ხებეის პროვინციის თავმჯდომარე გენერალ შან ჩენი, სააგენტოს სიტყვით, დასთანხმდა „თანამშრომლობას" კომუნიზმის ჩახშობის საქმეში (ადს).

□ □ □

„სახალხო მოძრაობა ხე ბეის პროვინციის ავტონომიისათვის" კლებულობს

ტოკიო, 28 ოქტომბერი. ჩრდილოეთ ჩინეთში მყოფი იაპონელი კორესპონდენტების ცნობებით, „სახალხო მოძრაობა ხებეის პროვინციის ავტონომიისათვის" კლებულობს მიუხედავად ამისა, ბეიპინ-ტიენძინის ჩინური გარნიზონის უფროსი სუნ ჩი-იუანი, იაპონელი კორესპონდენტების სიტყვით, შეპირდა იაპონიის სამხედრო ატაშეს ჩრდილოეთ ჩინეთში ტაკაჰაშის, რომ „ნანკინის მთავრობის განზრახვათა წინააღმდეგ", მზადა ვარ „მივიღო გადამწყვეტი ზომები ჩრდილოეთ ჩინეთის ყველა პროვინციის ავტონომიის განსახორციელებლადო" (ადს).

□ □ □

ბრძანება მაკალეს მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ

ლონდონი, 28 ოქტომბერი. როგორც ექსჩეინჯ ტელეგრაფის სააგენტო ადის-აბებიდან იუწყება, აბისინიის ხელისუფლებამ, იტალიის ჯარების მოსალოდნელი შემოტევის გამო, გასცა განკარგულება მაკალედან სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ (ადს).

□ □ □

შეფილდის სამხედრო ქარხნები მთელ ღამეებს მუშაობენ

ლონდონი, 28 ოქტომბერი. „დეილი ჰერალდის" გადმოცემით, შეფილდის სამხედრო ქარხნები, რომლებიც მთელი რიგი წლების მანძილზე კვირაში მხოლოდ 2 თუ 3 დღეს მუშაობდნენ, ამჟამად მთელ დღეღამის განმავლობაში სრულ სამ ცვლად მუშაობენ.

ერთ საწარმოში თოთხმეტი ბრძმედიდან 12 მუშაობს მთელ დღეღამეს: მეორეში—10 ბრძმედიდან მთელ დღეღამეს მუშაობს 8.

□ □ □

გენერალ ნასიბუს განცხადება

ლონდონი, 28 ოქტომბერი. ოგადენის ფრონტის სარდალმა, გენერალმა ნასიბუმ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს—იტალიის ჯარების მთელი ცდა, რომ გორაჰაი აეღოთ, უშედეგოდ დამთავრდაო. ამასთან დაკავშირებით, იტალიის სარდლობამ თავისი გეგმა შესცვალა და შეტევა დაიწყო მდინარე ვები-შიბელის რაიონში. „მდინარე ვები-შიბელის რაიონში,—ნათქვამია განცხადებაში—იტალიის ჯარებმა ბევრი სოფელი დაიკავეს. მაგრამ მოსახლეობამ ეს სოფლები ჯერ კიდევ იტალიელთა შემოტევამდე დასტოვა" (ადს).

□ □ □

ძლიერი წვიმები იაპონიაში

ტოკიო, 28 ოქტომბერი. დღეს უკვე მიღებულია პირველი ცნობები იმ განსაკუთრებით ძლიერი წვიმების შესახებ, რომელიც იაპონიაში 27 ოქტომბერს მოვიდა. ოფიციალური ცნობებით, ტოკიოში წყალმა დაფარა 31.677 სახლი, ნაგოიაში — 15 ათასი. მთელ დღეს ნაგოიაში საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა სრულიად შეწყვეტილი იყო. სოფელ ტაცუდაში (ფაკუსა, მიე პრეფექტურა) მეწყერმა ცოცხლივ დამარხა 30-ზე მეტი კაცი. ნიაღვარმა ფუკუსიმას პრეფექტურაში დააზიანა მდინარე ნაძეის რკინიგზის ხიდი და ამის გამო ადგილობრივი ხაზის სამგზავრო მატარებელი მდინარეში გადავარდა. დაიღუპა 11 კაცი, დაშავდა 58, მათ შორის მძიმედ დაშავდა 15 მგზავრი (ადს).

შეთქმულება ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ

ტოკიო, 28 ოქტომბერი. დომეი ცუსინის სააგენტოს ბეიპინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოაშკარავეს გეგმა, რომლის მიხედვით ბეიპინსა და ტიანძინში ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება უნდა მომხდარიყო. აჯანყება უნდა მოეწყოთ 27 ოქტომბერს. დაპატიმრებულია 300 კაცზე მეტი (ადს).

□

გერინგის განცხადება

ბერლინი, 28 ოქტომბერი. ბრესლავლში ფაშისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საოლქო ყრილობაზე გამოვიდა გერინგი, რომელმაც განაცხადა „ნაციონალ-სოციალიზმის გამარჯვება ყველა შინაურ მტრებზე". მაგრამ იგი მაინც იძულებული იყო აღიარებინა მთავრობისადმი მტრული განწყობილების არსებობა არა მარტო მასებს შორის, არამედ ფაშისტური ორგანიზაციების ძირეულ და საშუალო აქტივს შორისაც.

გერინგი შეეხო სასურსათო კრიზისს და აღნიშნა, რომ „სამშობლო, უწინარეს ყოვლისა, საჭიროებს სახსრებს თავისი შეიარაღებისათვის". ამასთან იგი ირწმუნებოდა, რომ არ შეიძლება მთავრობა დაფასდეს ხელფასის დონის მიხედვით, ისე როგორც გლეხი მთავრობას არ უნდა აფასებდეს კვერცხისა და ღორის ხორცის ფასის მიხედვით.

გერინგმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის ახლანდელ „მძიმე მდგომარეობაში" ხელფასის მომატებაზე ლაპარაკი შეუძლებელია.

დასასრულ გერინგმა განაცხადა: „ჩვენ კიდევ მძიმე ხანა მოგველისო" და ყოველნაირად მოუწოდებდა მსმენელებს განუსაზღვრელი ნდობით მოეპყრონ ჰიტლერს და მზად იყვნენ, როცა „ბედის ჟამი" დაჰკრავს (ადს).

□

გადადგა ესპანეთის მთავრობა

პარიზი, 29 ოქტომბერი. გადადგა ესპანეთის მთავრობა. როგორც უკვე იუწყებოდნენ, გადადგომის საბაბი გახდა ვიღაც უცხოელი შტრაუსის მხილებანი იმის შესახებ, რომ მთელმა რიგმა პასუხისმგებელმა მოღვაწეებმა, რომლებიც რადიკალთა მთავრობის პარტიას ეკუთვნიან, უკანონოდ მიიღეს აზარტული სათამაშო სახლების გახსნის ლიცენზიები. (ადს).

□

რომენ როლანი ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარეა

პარიზი, 27 ოქტომბერი. ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტი იუწყება, რომ რომენ როლანი დათანხმდა აირჩიონ ამ ორგანიზაციის საპატიო თავმჯდომარის პოსტზე. (ადს).

□

საბჭოთა თვითმფრინავების ჩასვლა პრაგაში

ბუქარესტი, 27 ოქტომბერი. ზუსტად, წინასწარ დანიშნულ საათზე ჰორიზონტზე გამოჩნდნენ მწვანე საბჭოთა თვითმფრინავები. თვითმფრინავებმა სრული წესრიგით გააკეთეს წრე დედაქალაქის თავზე და დასაშვებლად გაემართნენ. საუცხოო ამინდი იყო, თუმცა ქარი ჰქროდა. დედაქალაქის ყველა უბანში მრავალრიცხოვანი მასები ადევნებდნენ თვალყურს საბჭოთა მწვანე ფრინველების გაფრენას და ერთსულოვნად გამოხატავდნენ აღტაცებას. აეროდრომზე შეიკრიბნენ მხოლოდ ოფიციალური წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოთა მფრინავებს და პარაშუტისტებს ყვავილებით შეეგებნენ. აეროდრომის მახლობელ ქუჩებში რამდენიმე ათასი კაცი მქუხარე ოვაციით შეხვდა საბჭოთა სტუმრების გამოჩენას. ტექნიკურ და სამხედრო-საავიაციო წრეებში არ ფარავენ თავის აღტაცებას გიგანტური საბჭოთა თვითმფრინავით. ასეთი გიგანტები აქ ჯერ კიდევ არ უნახავთ (ადს).

ამხანაგი ფრუნზე
1925—1935

პროლეტარული რევოლუციის პირველი მარშალი

ათი წლის წინათ დაჰკარგა მუშათა კლასმა და მისმა პარტიამ ამხ. მიხეილ ვასილისძე ფრუნზე.

ეს იყო პირველი დიდი და მძიმე დანაკლისი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ლენინის დაკარგვის შემდეგ განიცადა: პროლეტარული რევოლუციის შეიარაღებული ძალების პირველი მარშალი, ცეცხლსა და ბორკილებში ნაჭედი რკინის ადამიანი, წითელი არმიის სული და გული, წავიდა ჩვენგან სამუდამოდ...

ბოლშევიზმის ძველი გვარდიის სუსხიანი სკოლა ჰქონდა გავლილი მიხეილ ვასილისძეს. მშრომელი ხალხის ღვიძლი შვილი მძიმე შრომასა და გაჭირვებაში აღზრდილი, 19 წლის ახალგაზრდა ფრუნზე ჩაება რევოლუციურ მუშაობაში.

1905 წელს მას უკვე ივანოვო-ვოზნესენსკის სამრეწველო რაიონში ვხვდებით, როგორც მტკიცე ბოლშევიკ-ლენინელს, რომელიც საბრძოლო მოწოდებით რაზმავს და ერთ მთლიან ბირთვად ჰკრავს შუელ მქსოველებს. აქ მისი ხელმძღვანელობით ჩაიარა საფეიქრო მრეწველობის მუშათა ბრწყინვალე გაფიცვებმა, როგორც 1905 წლის რევოლუციის ბობოქარი ზღვის უმაღლესმა ტალღებმა.

სისხლისმსმელ ცარიზმის ბინძურმა აგენტებმა მასში მალე იცნეს ძლიერი მოსისხლე მტერი, მუშათა ნაცადი ორგანიზატორი და მეთაური. იცნეს და არც დააყოვნეს: 1907 წელს დააპატიმრეს კიდეც. სამუდამო ციხე — აი თვითმპყრობელობის სიტყვა. და 1914 წლამდეც იგი ვაჟკაცურად იტანდა მეფის საპყრობილეების ბნელ საკანებს. ამ წელს კი ციხე კატორღით შეუცვალეს — ირკუტსკს გადაასახლეს.

შემდეგი წლები სავსეა ისევ პატიმრობით, ციხით, ბორკილებით, გადასახლებით და გაქცევით. თებერვლის რევოლუციამ მას მინსკის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელის პოსტზე მოუსწრო, ხოლო ოქტომბრის ბარიკადებზე ერთ-ერთმა პირველმა, უყოყმანოდ და სწრაფად დაიკავა ლენინის და სტალინის პოზიცია და გადამწყვეტი იერიშით შეუტია ბურჟუაზიულ-მემამულურ რუსეთს.

დადგა სამოქალაქო ომის საშინელი დღეები, როცა გამარჯვებული პროლეტარიატი უნდა გამკლავებოდა საშინაო და საგარეო კონტრრევოლუციის გაერთიანებულ შემოტევას. დიდი ბელადის ლენინის ტვინი იმ დღეებში განსაკუთრებული დაძაბვით მუშაობდა და პირველ რიგში რევოლუციის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციაზე ზრუნავდა. იქ იყო სტალინის გენიაც, იყო ფრუნზეს ორგანიზატორული ნიჭიც. ლენინ-სტალინთან ერთად, ფრუნზე შეიქმნა ჩვენი წითელი არმიის ორგანიზატორი, შემდეგ კი მისი მეთაურიც, სარდალი.

პარტიამ უძნელესი ფრონტები მიანდო ამხ. ფრუნზეს: აღმოსავლეთის, თურქესტანის, სამხრეთის. ყველგან, სადაც კი იგი მიდიოდა, თან მიჰქონდა პროლეტარული რევოლუციონერის ცეცხლი და ბრძოლის აღთებული წყურვილი, პირადი მაგალითით განმტკიცებული. მისი ხელმძღვანელობით ამ ფრონტებზე გადამწყვეტი იერიში მიიტანეს წითელი არმიის ნაწილებმა და მტერი გაანადგურეს. უკანასკნელად მას წილად ხვდა უდიდესი ოპერაციის ჩატარება — გენერალ ვრანგელის თეთრგვარდიული ბანდის ლიკვიდაცია 1920 წელს.

მისი პირადი თვისებები ათასობით მებრძოლებს აღფრთოვანებდა ფრონტზე უძნელეს წუთებშიაც კი. მისი სახელი და სიყვარული ცეცხლივით აღულებდა მებრძოლებს და მეთაურებს გამარჯვების ურყევი სურვილით. კიდეც ამიტომ გაითქვეს ლეგენდარული გმირობის სახელები ფრუნზეს ნაწილებმა, მისი ფრონტების მეთაურებმა და წითელარმიელებმა. შემთხვევითი არ იყო ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო ომის გმირობის სიმბოლო — ჩაპაევი ფრუნზეს ხელმძღვანელობით გამოიჭედა და იბრძოდა.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ იგი წითელი არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელია, ხოლო 1925 წლის იანვრიდან მისი სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე. ფრუნზეს უშუალო ხელმძღვანელობით ჩაეყარა საფუძველი მშვიდობიან პირობებში წითელი არმიის მშენებლობას, მისი ინიციატივით ჩატარდა არმიაში ერთმმართველობა, რამაც უმაგალითოდ განამტკიცა პროლეტარული დისციპლინა.

წარმტაც და მიმზიდველ ამავე დროს მეტად რთულ და მძიმე მუშაობაში ჩაფლული დაეცა იგი მოულოდნელად. დაეცა, როგორც პროლეტარული რევოლუციის პირველი მარშალი, რომლის სახელსა და საქმესთან დაკავშირებულია ჩვენი დღევანდელი უძლეველი წითელი არმიის განვითარება, მისი პირველი სახელოვანი ნაბიჯები.

რა სწრაფად გაირბინა ათმა წელმა!

ჩვენმა ქვეყანამ ინდუსტრიის ჯავშანი ჩაიცვა. ჩვენი არმია მსოფლიოში ყველაზე ძლიერი, ყველაზე მოწინავე არმია გახდა. მიხეილ ვასილისძის ოცნებაც ახდა. არამარტო საომარი ტექნიკითა და [illegible] დარაზმულობით, არამედ შინაგანი ორგანიზებულობით და დისციპლინითაც უბადლო არმია შექმნა ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა პარტიამ და დიდმა სტალინმა.

და ფრუნზეც ხომ ასეთ არმიაზე ოცნებობდა, მის შესაქმნელად მუშაობდა და ამ მუშაობაში დაიწვა კიდეც.

საბჭოთა კავშირში

ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. 28 ოქტომბერს მუშაობა დაიწყო ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პირველმა სამეცნიერო სესიამ. მის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ აკადემიის 32 ნამდვილი წევრი, სამეცნიერო დაწესებულებების, საცდელ საბჭოთა მეურნეობების მუშაკები და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პირველი სხდომის გახსნისას აკადემიის პრეზიდენტმა ა. ი. მურალოვმა დაახასიათა უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც სესიამ უნდა გადაჭრას.

— საკოლმეურნეო წყობილების წარმატებებმა, — სთქვა ამხ. მურალოვმა, — სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დააყენა. ბრძოლა მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის, მინდვრების მოსავლიანობის ზრდისათვის, პირუტყვის მაღალი პროდუქტულობისათვის —აი რას უნდა მიაპყრან მთელი თავისი ყურადღება მეცნიერების მუშაკებმა.

შემდეგ მოისმინეს აკადემიკოს ვავილოვის მოხსენება საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებში ხორბლის წარმოების და მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობის შესახებ და აკადემიკოს დავიდის თანამოხსენება — „ხორბალი და ჰავა". (ადს).

„მალიგინის" პოლარული ცურვის შედეგები

არხანგელსკი, 28 ოქტომბერი. 115 დღის პოლარული ცურვის შემდეგ დაბრუნდა წითელდროშოვანი ყინულმჭრელი მალიგინი მან გულმოდგინედ გამოიკვლია ჩრდილოეთის საზღვაო გზის ტრასა ხურვილის კონცხიდან ვილკიცკის სრუტემდე. დაზუსტდა და რუკებზე კუნძულების მდებარეობა [illegible] ყინულმჭრელმა 1 ათასი მილი გაიარა. კარის ზღვის შუა ნაწილში „მალიგინმა" კუნძულთა არქიპელაგი აღმოაჩინა. მალიგინელები მივიდნენ კაროვის კუნძულზე, ასწერეს იგი და აღმოაჩინეს იქ საუცხოო ხარისხის ქვანახშირის საბადოები: ამ ნახშირის ფენები მიწის ზედაპირზედაც [illegible] 8—10 მეტრის [illegible] (ადს).

რეკორდი მეაბრეშუმეობის ისტორიაში

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. მეაბრეშუმეობის მოწინავე საბჭოთა მეურნეობებმა განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს პარკის მოსავლისათვის ბრძოლაში. შარშან ცალკეულმა მეურნეობებმა შეძლეს ჭიის 3—4 ჯერ გამოკვება საწარმოო პირობებში. წელს ორმა საბჭოთა მეურნეობამ, ბაირამალისა (თურქმენია) და ლაგოდეხისა (საქართველო), ერთ სეზონში 6 ჯერ გამოკვება ჭია და პარკის 6 მოსავალი მიიღო.

ბაირამ-ალის აბრეშუმის საბჭოთა მეურნეობამ პირველ გამოკვებაზე მიიღო კოლოფზე 58 კილოგრამი, პარკი, მეორე გამოკვებაზე 36 კილოგრამი (მთელ კავშირში ეს საშუალოზე მეტი მოსავალია), მეექვსეზე 25 კილოგრამი.

ლაგოდეხის აბრეშუმის საბჭოთა მეურნეობამ პირველ გამოკვებაზე 48 კილოგრამი ნედლეული აიღო კოლოფზე. მეორე გამოკვებამ მას 36 კილოგრამი მისცა, მეექვსემ კი 19 კილოგრამი თითო კოლოფზე გამოკვების ასეთი რაოდენობა საწარმოო პირობებში წარმოადგენს რეკორდს მეაბრეშუმეობის ისტორიაში.

შაქრის გამომუშავება

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის შაქრის მრეწველობამ 25 ოქტომბრისათვის გამოუშვა 7.195.744 ცენტნერი შაქარი ახალი მოსავლის ჭარხლისაგან. შარშან ამ დროისათვის 4.591.391 ცენტნერი იყო გამოშვებული.

შაქრის ქარხნებმა 40 დღეში 1935 წლის მეორე ნახევრის გეგმა უკვე 52,1 პროცენტით შეასრულეს (ადს).

ნაქერალის საულელტეხილო გზის მშენებლობა დავამთავრეთ

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხ. კ-ტის და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ტის მდივანს ამხ. ლ. ბერიას

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ოპერატიული ხელმძღვანელობით და თქვენი პირადი მითითებების მტკიცედ განხორციელებით, ამბროლაურის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ენერგიული მუშაობით, კოლმეურნეთა და მთელი მშრომელი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით ნაქერალის გზის მშენებლობა 29 ოქტომბრისათვის დავამთავრეთ. განხორციელდა ამბროლაურის რაიონის მშრომელთა დიდიხნის ოცნება ნაქერალის გზის გაყვანის შესახებ.

ეს გზა 50 კილომეტრით ამცირებს მოსახვლელ მანძილს ამბროლაურიდან ტყიბულის რკინიგზის სადგურამდე.

მთელი რაიონის მშრომელი მოსახლეობა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ამ დიდმნიშვნელოვანი სამუშაოს წარმატებით დამთავრებას.

პირობას ვიძლევით, რომ საგზაო მშენებლობაში, ისევე, როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც, გაათკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ პირველობის მოპოვებისათვის.

საქ. კ.პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის მდივანი **ზრ. შილიძე.**

საქართველოს
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ყალიბდებოდა ბელადი

მოგონებანი ამხ. სტალინის მუშაობის შესახებ პირველი რევოლუციის პერიოდში

სანდრო გაჯიაშვილი

ყოფ. ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშა

ჩვენი ბელადი და მასწავლებელი

ვმუშაობდი ტფილისის თამბაქოს ქარხანაში. მუშაობა აუტანელ პირობებში გვიხდებოდა, სამუშაო დღე თითქმის განუსაზღვრელი იყო. ქარხანაში მუშაობას რომ მოვრჩებოდით, სახლში უნდა წაგვეღო დაჭრილი პაპიროსის ქაღალდი და მთელი ღამე, გილზები უნდა მოგვემზადებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში მეორე დღეს სამუშაოს მოვაკლდებოდით. ამგვარად, ჩვენი მუშაობა 16—17 საათს გრძელდებოდა. თვით ფაბრიკა შეიძლება შევადაროთ საპატიმროს: მუშას იქიდან გასვლა არ შეეძლო განსაზღვრულ დრომდე. სამზარეულოც იქვე იყო მოთავსებული, ყველაზე უვარგის სადილებს გვიმზადებდნენ, ფულს კი ერთიორად გვიქვითავდნენ. დილით შესულ მუშას საღამომდის გარეთ არ უშვებდნენ, რაც უნდა ძლიერ ავად ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, იქ საექიმო დახმარება არ იყო. არც წამალი, არც საპონი, არც აბანო, არც შვებულება, არც ჯამაგირი ავადმყოფობის დროს არც მუშისთვის და არც მუშის ოჯახის წევრებისათვის. დასასვენებელ სახლებში გაგზავნა, სპეცტანისამოსი, მშობიარე ქალის ვადაზე ადრე განთავისუფლება ჯამაგირის შენახვით — ყოველივე ეს ხომ სიცრუეს მოჰგვრიდა მხეც კაპიტალისტს.

ასეთ პირობებში მყოფი მუშები მეტად გაბოროტებული იყვნენ, არ იცოდნენ, რა გზით და როგორ დაეღწიათ თავი ასეთი პირობებისათვის. არ ჰყავდათ ხელმძღვანელი, რომელიც მათ უჩვენებდა გამოსავალ გზას. ამიტომ ისეც გაჭირვებული ცხოვრება უფრო ურთულდებოდათ, კაპიტალისტის უღელი უფროდაუფრო უმძიმდებოდათ.

ასეთი პირობები ჩვენთვის აუტანელი იყო და გადავწყვიტეთ, რაც უნდა დაგვჯდომოდა, მოგვეწყო საიდუმლო ორგანიზაცია. ამისათვის საჭირო იყო რამდენიმე გამბედავი და გავლენიანი მუშის გამონახვა ქარხანაში. ასეთები კიდეც აღმოჩნდნენ: არტო ლითანიშვილი, ივანე მანჯავიძე, მიხეილ ვარსიმაშვილი, საქრო მაილოვი, გრიქურ მიკირტუმოვი, თათოს ასადა, გიორგი აზნაუროვი. ეს უკანასკნელი ენფიაჯიანცის ქარხნის პირველი გაფიცვის ბიუროს წევრი იყო. ჩემთან ერთად ბაქოში გადასახლებული 1895 წ. და ამ შემდეგ ქალაქში დავიწყე არალეგალური ორგანიზაციის მოწყობა.

გადავწყვიტეთ მოგვეწვია კარგი მომზადებული ამხანაგი, რომ ჩვენს მუშებში მეტი გავლენა ჰქონოდა. ეს აზრი ჩემს ამხანაგებსაც მოეწონათ. ერთ საღამოს, მუშაობის შემდეგ, ჩამოვიარე ალექსანდროვის ბაღში. აქ შემხვდა პოლოსა ფილოსიანი. ის მუშაობდა ენფიაჯიანცის ქარხანაში შავ მუშად, იყო ოსმალეთის ქვეშევრდომი, დიდხანს რუსეთში ნამყოფი, საკმაოდ განათლებული კაცი, ნიჭიერი და განვითარებული. მან იცოდა სხვადასხვა ევროპული ენები, რომლისაც ჩემი განზრახვა გავაცანი, შემპირდა. ხვალ გამოგიგზავნით ერთ კარგ ამხანაგსო. არ ვიცოდი ეს ამხანაგი ვინ იყო ან საიდან გაიცნო იგი ფილოსიანმა, მხოლოდ მითხრა: ხვალ საღამოს მოიცადე სასტუმრო „ლონდონთან" კუთხეში, იქ მოვა ერთი ამხანაგი, რომელსაც იცნობ შემდეგი ნიშნებით: მოვა დანიშნულ ადგილას, მცირე ხანს შეჩერდება, მერე თეთრ ცხვირსახოცს სამჯერ გადაისვამს შუბლზე. ამასთანავე დაწვრილებით ამიწერა მისი ტანის სიმაღლე, ჩაცმულობა და სახის ნიშნები.

მეორე საღამოს დანიშნულ საათზე და ადგილზე ვუცდიდი მას. მართლაც, დროზე მოვიდა. მე მივედი და ხელი გავუწოდე (ჩემს ნიშნებსაც ეტყოდა ფილოსიანი) ამხანაგმა საჩქაროდ სალამი მომცა. იქიდან შევიარეთ ალექსანდროვის ბაღში, მოვნახეთ თავისუფალი კუთხე და ჩამოვსხედით.

„როგორი პირობებია თქვენს ქარხანაში" — შემეკითხა იგი. მე გავაცანი ჩვენი ქარხნის პირობები. „მერე როგორ ურიგდებიან ამ მდგომარეობას მუშები?" — რას იზამენ, ისე შეჩვეული არიან თავიანთ ლუხჭირ მდგომარეობას, რომ აქამდის არც კი ფიქრობდნენ მაზე, შეიძლება თუ არა ასეთი პირობებისაგან თავის დაღწევა? „გული არ უნდა გავიტეხოთ, ამხანაგო, კარგი ხელმძღვანელობით შეიძლება ამ დაბეჩავებული მასიდან საუკეთესო რევოლუციონერები გამოვჭედოთ. აბა ეს მითხარი, არიან თუ არა ისეთი სამედო მუშები, რომლებთანაც შეიძლებოდეს დაახლოვება. ან თუ არიან. რამდენი იქნებიანო". მე ჩამოვუთვალე, ვინც სამედონი მეგულებოდნენ ქარხანაში და ჩვენი მუშაობა მოკლედ გავაცანი. „ძალიან კარგი, მაგრამ სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან კავშირი არა გაქვთ? და თუ გაქვთ, როგორი?" — ჯერჯერობით არავისთან არა გვაქვს კავშირი, გარდა რკინიგზის მუშებისა, რომლებიც დროგამოშვებით ფურცლებს გვაწოდებენ ხოლმე. „უეჭველად უნდა იქონიოთ სხვებთანაც კავშირი, ეს აუცილებელია. თუ კი ბურჟუა-კაპიტალისტებს ურთიერთთან კავშირი აქვთ და როგორც უნდათ ისე ჰყლეფავენ მშრომელ მასას, რატომ მუშებს არ უნდა ჰქონდეთ მჭიდრო კავშირი, რომ საერთო ძალით გაუმკლავდნენ მათ და ამით გააუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა. ეს უნდა კარგად იცოდეს ყველამ, რომ კაპიტალისტებს მთავრობაც ეხმარება და მუშებს კი დამხმარე არავინა ჰყავთ. მუშებმა ერთიმეორის დახმარებით უნდა გაიუმჯობესონ თავიანთი ცხოვრების პირობები და მოიპოვონ ნამდვილი თავისუფლება"...

მე უთხარი: ჩვენ ახლა ძალიან გვჭირდება ისეთი ამხანაგი, რომელიც იკისრებს ჩვენთან იმუშაოს. მან ჩაიცინა და მითხრა:

„მე სიხარულით ვიკისრებ თქვენთან მუშაობას. მხოლოდ მოაწყეთ ისე, რომ კრებების გამართვა ხერხდებოდეს"... ვიწრო ჯგუფის კრებას დაინიშნეთ ფრანგების სასადილოზე სოლოლაკში. სოსო დამპირდა, უსათუოდ მოვალო.

მეორე დღეს ჩემს ამხანაგებთან ერთად დანიშნულ ალაგას ველოდით ამხ. სოსოს. იგი კიდეც მოვიდა და აქ გავაცანი სხვებიც. ღამის 8 საათამდის ჩვენთან დარჩა. ორი საათის განმავლობაში მან დაწვრილებით გამოიკითხა მუშათა ცხოვრების ყველა პირობები ჩვენს ქარხანაში. ბოლოს გადავწყვიტეთ მეორე ღამეს საერთო კრება მოგვეწყო ლითანაშვილის სახლში ამხ. სოსო გამოგვეთხოვა, ჩვენც დავიშალენით.

დილით სამუშაოზე ყოველმა ჩვენგანმა უთხრა თავიანთ სამედო ამხანაგებს, ამაღამ საიდუმლო კრებაა და დაესწარითო. ღამის 8 საათზე 25 მუშამ მოიყარა თავი. მალე ამხ. სოსოც მოვიდა. (მას შემდეგ 34 წელიწადი გავიდა და ყველაფერს დაწვრილებით ვეღარ ვიხსენებ). მახსოვს კარგად, რომ ამ ღამეს ამხ. სოსოს ლაპარაკი შეეხებოდა განსაკუთრებით მუშათა მოძრაობას... როგორ იზრდება მუშათა შრომით კერძო ხაზეინების კაპიტალი, რა კავშირი აქვთ ბურჟუა-კაპიტალისტებს მეფის მთავრობასთან, საიდან და ვისი შრომით ცხოვრობენ მთავრობის აპარატში მოკალათებული ჩინოვნიკ - მოსამსახურენი, რისთვის ინახავს მთავრობა მუდმივ ჯარს, ვინ აცხოვრებს ამდენ სამხედრო მოხელეებს და სამღვდელოებას, და რა სიმდიდრის შემქმნელი არის მუშათა კლასი. სხვათა შორის განსაკუთრებით შეჩერდა იმაზე, რომ მუშებს უსათუოდ უნდა ჰქონდეთ: 1) საგაფიცვო სალარო, 2) კავშირი სხვადასხვა ქარხნის მუშებთან, 3) საგაფიცვო ბიურო, მტკიცე დისციპლინა და კონსპირაცია, გამბედაობა და ენერგია მუშებს შორის ფურცლების და ლიტერატურის გავრცელებაში. ყოველივე ეს იმისთვის არის საჭირო, რომ „როდესაც გამოვედივართ ბრძოლის ველზე, იქ შიში აღარ უნდა იყოს, შესაძლებელია ამ ბრძოლამ ბევრი ჩვენგანი იმსხვერპლოს, შეიძლება ზოგი დაგვაპატიმრონ, ზოგი გადაგვასახლონ, ეს ყველას თვალწინ უნდა გვქონდეს, ამისი არ უნდა გვეშინოდეს, რადგან რევოლუცია უმსხვერპლოდ შეუძლებელია"-ო. ამხ. სოსოს თანადასწრებით და მათითებით ავირჩიეთ საგაფიცვო ბიურო, რომელშიც შედიოდნენ შემდეგი ამხანაგები: გიორგი აზნაუროვი, მიხა ვარსიმაშვილი, არტო ლითანიშვილი, ვანო მანჯავიძე და მე. ამხ. სოსოსავე წინადადებით გადაწყდა, რომ ჩვენი ორგანიზაციის ყოველმა წევრმა საწევროდ გადაიხადოს 2 პროც., რაც მიღებულ იქნა ერთხმად. ამ დღიდან განაგრძო ჩვენთან მუშაობა ამხ. სოსომ. სისტემატურად მართავდა კრებებს. კრებები ხშირად ლითანაშვილის სახლში ეწყობოდა. მუშები თამბაქოს სხვა ქარხნებიდანაც მოგვემატნენ. ყოველდღე გვემატებოდა ხალხი და რაკი მეზობლებმა ეჭვის თვალით დაგვიწყეს ყურება, იძულებული გავხდით კრებებისათვის სხვა ალაგი გამოგვენახა.

ამხ. სოსოს, როცა კრებებზე მოდიოდა, ხშირად მოჰქონდა მუშებისათვის ახალ-ახალი ფურცლები (პროკლამაციები). თუ სად იბეჭდებოდა და საიდან მოჰქონდა ეს ფურცლები, არცერთმა ჩვენგანმა არ იცოდა, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის ჯაშუშები ფეხდაფეხ სდევდნენ, იგი ძლიერ მოხერხებულად უბნევდა მათ გზაკვალს.

კრებების ქალაქგარეთ გადატანა აუცილებელი შეიქნა, რადგან ჩვენს კრებას სხვა ფაბრიკა-ქარხნის მუშებიც ესწრებოდნენ.

ამხ. სოსოს მეცადინეობით რამდენიმე ფაბრიკა - ქარხნის მუშები დაუახლოვდნენ ერთმანეთს. 1900 წლის დამლევამდის ამხ. სოსოს ჩვენთან კავშირი არ შეუწყვეტია. ის განაგრძობდა ჩვენთან მუშაობას და ამზადებდა მუშებს. იმავე წლის დეკემბრის დასაწყისს მოხდა გაფიცვა. მიზეზი ის იყო, რომ ყველა ჩვენი მოწინავე მუშა ნიშანში ჰყავდა ამოღებული ხაზეინს და ერთი მათგანი მე ვიყავი. იმავე წლის ოქტომბერში ერთი კვირით სოფელში მომიხდა წასვლა და რომ დავბრუნდი, ქარხანაში აღარ შემიშვეს. ამ ამბავმა ისეც აღელვებული მუშები უფრო აღელვა და მოინდომეს გაფიცულიყვნენ, მაგრამ დანარჩენი ამხანაგების რჩევით დამშვიდნენ, აღარ გაიფიცნენ. გაიარა ნოემბერმა და დეკემბრის პირველ ნახევარში მეორე ამხანაგი ლითანაშვილიც გამოისტუმრეს ქარხნიდან ეს კი ვეღარ მოითმინეს მუშებმა და მათ შორის დაიწყო მღელვარება. ამხანაგმა სოსომ დააყენა საკითხი გაფიცვის მოწყობის შესახებ და შეუდგა მის ორგანიზაციას. შეიკრიბნენ მუშები, ამხ. სოსოს ხელმძღვანელობით ჩამოსწერეს მოთხოვნები და გაუგზავნეს ხაზეინს. გაიარა ერთმა კვირამ, მეორემ, მაგრამ პასუხი არ იყო. დადგა 1901 წლის იანვარი. ხაზეინმა რაკი ნახა, რომ მუშები აღარ ბრუნდებოდნენ სამუშაოზე, მიმართა პოლიციას, რომ მათი საშუალებით გაეტეხა გაფიცვა, მაგრამ ვერა გააწყო რა. შემდეგ გამოგზავნა შუამავლები და მოლაპარაკება დაიწყო. მუშები შესაძლებელია ადვილად გაბმულიყვნენ კაპიტალისტების მახეში, ისეთი ხელმძღვანელი, რომ არ ჰყოლოდათ როგორიც ჩვენი ამხ. სოსო იყო. მუშებმა გაფიცვა მოიგეს.

გაფიცვა დასრულდა 1901 წლის იანვრის ბოლოს. მუშებს მოუმატეს ხელფასი, მათ მოიპოვეს გარეთ გამოსვლის უფლება და ბევრი სხვა შეღავათი. ჩვენც, გამორიცხული მუშები, დაგვაბრუნეს სამუშაოზე. რა თქმა უნდა, ახლა უფრო მტკიცედ და გულმოდგინედ შევუდექით ჩვენი ორგანიზაციის შემჭიდროებას. ასე ვიმუშავეთ 1901 წლის თებერვლამდის. 23 თებერვალს ლითანაშვილის სახლში მოვაწყეთ კრება, რომელსაც ამხ. სოსოსთან ერთად მარტოკა მოწინავე მუშები დაესწრნენ. კრების დასასრულს ამხ. სოსომ გადმოგვცა რამდენიმე ბროშურა და ფურცლები. თითო ცალი ჩვენ დავიტოვეთ, დანარჩენი კი სხვა ქარხნებში გავაგზავნეთ. ღამის 10 საათი იქნებოდა, სიგნალისტებმა რომ შეგვატყობინეს — ჟანდარმერია მოდის და დაიშალენითო. ჩვენც სხვადასხვა გზით წავედით. მაგრამ ამავე ღამეს ნაშუაღამევის 3 საათზე ყველას სახლში გვესტუმრა ჟანდარმთა როტმისტრი ზასიპკინი და ჩხრეკის შემდეგ გაგვგზავნეს მეტეხის ციხეში, მე, ვანო მანჯავიძე, პოლოს ფილოსიანი და გრიგორ მიკირტუმოვი. ამის შემდეგ ამხ. სოსოს აღარ შევხვედრივარ, არ ვიცოდი სად იყო. მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ გავიგე, რომ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხ. სტალინი ჩვენთან მომუშავე ამხ. სოსო ყოფილა.

ამხ. სტალინი (1900 წ.)

ფარნა ნიჟუა

ყოფილი მუშა, ამჟამად კოლმეურნე.

რევოლუციური ბრძოლის მესაჭე

1890-იან წლებში სოფლიდან ტფილისში ჩამოვედი და დავიწყე მუშაობა რკინიგზის მთავარ სახელოსნოში. აქ მალე ჩავები წრეების მუშაობაში, რომელშიაც შედიოდნენ: გ. ჩხეიძე, არ. ოქუაშვილი და სხვები. აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი 1898 წ. დეკემბრის გაფიცვებში, აგრეთვე 1900 წლის აგვისტოს გაფიცვაშიც.

1901 წ. ბოლოს გამაძევეს ტფილისიდან, როგორც „არაკეთილსაიმედო". ჩავედი ფოთში. დავიწყე მუშაობა ნავსადგურის სახელოსნოში მჭედლად.

1902 წლის მარტში ჩვენამდე მოაღწია ბათომის მუშების დემონსტრაციების და დემონსტრანტების დახვრეტის ამბებმა. ფოთის მუშათა წრეში კრებაზე განიხილა ეს შემზარავი ამბავი. რამდენიმე დღის შემდეგ ფოთში ჩამოვიდა ბათომელი მუშა ივლიანე შაფათავა, რომელმაც მოიტანა ფურცლები 8-9 მარტის ამბების შესახებ, თან დამარიგა არავისთვის მეთქვა, რომ მათ ტფილისიდან ჩამოსული ახალგაზრდა რევოლუციონერი სოსო ჯუღაშვილი ხელმძღვანელობს. შაფათავამ მითხრა — ეს ფურცლებიც ამხ. სოსოს ხელითაა დაწერილი და მანვე გამომგზავნა თქვენთან კავშირის დასამყარებლადო. პროკლამაციები წრის კრებაზე მივიტანე და წავიკითხე, რამაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე.

როდესაც 1902 წ. ფოთში დამიწყეს დევნა, წავედი ბათომში და მივედი ჩემს ნაცნობ ივლიანესთან. იგი მოწყენილი შემხვდა, მითხრა: „ამხ. სოსო დააპატიმრეს ამ დღეებშიო".

ამხანაგების დახმარებით მოვეწყე როტშილდის ქარხანაში უბრალო მუშად. დავიწყე მუშაობა წრეებში. აქ უფრო მეტი გასაქანი იყო არალეგალური მუშაობისათვის. ციხიდან ამხ. სტალინი სისტემატიურად გვაწვდიდა დირექტივებს თუ როგორ უნდა გვემუშავნა. მისი გამოწვევით ჩამოვიდნენ ტფილისიდან გ. ელისაბედაშვილი, მ. ტოროშელიძე, მიშა დავითაშვილი, დ. სულიაშვილი და სხვ.

1905 წელში სამტრედიაში გადავედი, ვმუშაობდი დეპოს და აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხნის მუშებში. მალე აქ აუცილებელი შეიქნა განხეთქილების საკითხის გადატანა ფართო მასაში.

მალე მივიღეთ ცნობა სამტრედიის ს.-დ. ორგ. კონფერენციის მოწვევის შესახებ. მაისის ბოლოსათვის მოვიწვიეთ კონფერენცია. კონფერენციაზე ჩამოვიდა ამხ. სოსო, მენშევიკებიდან კონფერენციას ესწრებოდა გრ. ლორთქიფანიძე და სხვები. კრება შესდგა სოფ. მელაურში.

პარტიაში მომხდარი განხეთქილების შესახებ პირველად მოხსენებით გამოვიდა ამხ. სტალინი, შემდეგ გრ. ლორთქიფანიძე. ამხ. სოსომ სასტიკად გააკრიტიკა დემაგოგი მენშევიკების მოქმედება სამტრედიის რაიონში და ფარდა ახადა მათ ნამდვილ ფიზიონომიას. მენშევიკებმა სასტიკი მარცხი განიცადეს...

ამხ. სტალინი ბაქოს ციხეში


Бакинское Губернское Жандармское Управление.

„1910 წლის 24 მარტს როტმისტრი მარტინოვი იტყობინება: დაპატიმრებულია „ორგანიზაციაში „კობას" მეტსახელით ცნობილი, რ.ს.დ.მ.პ. ბაქოს კომიტეტის წევრი, რომელიც ყველაზე მომქმედი პარტიული მუშაკია და რომელმაც ხელმძღვანელი როლი დაიკავაო".

(აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის ერთიანი პარტარქივი, საქმე № 430. ამოღებულია ამხ. ლ. ბერიას მოხსენებიდან)

ს. თოდრია

შორეული წარსულის ამბები

ძნელია დაწვრილებით გაიხსენო დიდი ხნის წინათ მომხდარი ამბები. მაგრამ არის ისეთი ამბები, რომლებიც მთელ სიცოცხლეში არ დაგავიწყდება. ასეთია ის ამბები, რომლებიც ახლა მსურს გავიხსენო და აღვწერო.

ყველაფერი ეს მოხდა 33 წლის წინათ მუშათა შორის სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური მოძრაობის ფუძემდებლის, ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის — მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით.

მე ბათომის სტამბაში ვმუშაობდი, სადაც აქტიური მონაწილეობა მივიღე გაზეთ „ჩერნომორსკი კრესტიანინის" ასოთამწყობთა მცირე ჯგუფის ეკონომიურ გაფიცვაში.

ერთ კვირა დღეს, 1901 წლის შემოდგომაზე, ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა, სოსო მქვიაო თქვა და გადმომცა სალამი ერთი ჩემი ამხანაგი ასოთამწყობისაგან, რომელიც ცოტა ხნის წინათ ბათომიდან ტფილისს გაემგზავრა. ამასთან მითხრა: ჩამოვედი აგიტატორ-პროპაგანდისტადო, ბათომის მუშებს შორის სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური მოძრაობა გავავრცელოთო. რადგან მან უკვე იცოდა ჩემი ამბავი იმ ამხანაგისაგან, რომელმაც სალამი შემომითვალა, პირდაპირ მომცა წინადადება შემედგინა ამ მიზნით სამედო ასოთამწყობთა წრე. მაშინვე დასვა საკითხი — აუცილებელია პროკლამაციების დასაბეჭდად არალეგალური სტამბა დავაარსოთო. შევთანხმდით, რომ შემდეგ კვირას მე შევაგროვებდი წრეს, აგრეთვე შევუდგებოდი სტამბიდან შრიფტისა და სხვა საჭირო საბეჭდი მასალის გატანას.

როცა მომცილდა, ქუჩების გზაჯვარედინზე მდგომმა გოროდოვოიმ მას ყურადღება მიაქცია, რადგან ბათომის წყნარ ქუჩაში, სადაც სამხედრონი სჭარბობდნენ, ყოველი ახალი კაცი შესამჩნევი იყო. როცა ეს სოსომ შენიშნა, უკან გამობრუნდა, გოროდოვოის მიუახლოვდა და რაღაც ჰკითხა და ხელით მიუთითა ერთ მხარეზე და სოსოც იქით გაემართა, ხოლო გოროდოვოი გულდამშვიდებით დაბრუნდა მეორე მხარეს. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ სოსო განზრახ მივიდა გოროდოვოისთან, რომ მისი ეჭვი გაეფანტა.

შემდეგ კვირას შევაგროვე წრე სტამბის 12—15 მუშისაგან. მოვიდა სოსო და ჩვენთან დაიწყო საუბარი მუშათა რევოლუციური მოძრაობაზე ამიერ-კავკასიაში, რუსეთში და საზღვარგარეთ, ამ მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებზე და იმაზე, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა მაშინ.

სოსოს ჩამოსვლამდე ბათომში არავითარი არალეგალური რევოლუციური ორგანიზაცია არ ყოფილა.

მე და წრის ზოგიერთი მონაწილე საკვირაო სკოლაში დავიარებოდით. ეს იყო აპოლიტიკური, წმინდა საგანმანათლებლო ხასიათის სკოლა. სადაც ადგილობრივი ინტელიგენტები გვიკითხავდნენ ლექციებს კაცობრიობის განვითარების ისტორიაზე, დარვინიზმზე, მზის, მთვარის და ვარსკვლავების მოძრაობაზე. ეს ლექციები ძირფესვიანად განსხვავდებოდა იმ საუბრისაგან, რომელიც სოსომ ჩვენთან ჩამოაგდო, — ეს იყო საუბარი მუშათა კლასის და გლეხობის საჭიროებებზე. იგი ეხებოდა სასიცოცხლო, გასაგებ, უაღრესად საინტერესო საკითხებს.

ერთხელ როგორღაც ვკითხე სოსოს: გაქვს თუ არა კავშირი იმ ინტელიგენტებთან რომლებიც საკვირაო სკოლებში ასწავლიანმეთქი, მიპასუხა: იმათ ვიცნობ, მაგრამ არ ვითანხმდები, რადგან ისინი წინააღმდეგი არიან რომ მუშათა წრეებში არალეგალური მუშაობა სწარმოებდეს, და ლეგალურ საკვირაო სკოლებს ამჯობინებენო. მან ირონიული ღიმილით დაასახელა ერთი მათგანი — ქ. ჩხეიძე, მესამედასელთა მაშინდელი წევრი, შემდეგ ცნობილი მენშევიკი, რომელიც მას ეუბნებოდა: პირდაპირ და ელექტრონით განათებული ქუჩების გამო ბათომში არალეგალური მუშაობის გაწევა შეუძლებელიაო.

სოსომ საწრეო მუშაობა დაუშრეტელი ენერგიით გააჩაღა ერთდროულად ნავთის ქარხნების და ნავსადგურის მუშათა შორის, რომელთა რიცხვი მაშინ 12—15 ათასს უდრიდა.

1902 წლის პირველ იანვრის წინა ღამეს ამხანაგური ვახშმის საბაბით ს. ლომჯარიას სახლში შეიკრიბნენ სხვადასხვა წრეების წარმომადგენლები, 20—25 კაცი. აქ სოსომ დასვა ორგანიზაციული საკითხი და, კერძოდ, საკითხი ბათომის ყველა საწარმოს მუშების საერთო გაფიცვის მომზადებისა, რათა მოგვეპოვებინა 8 საათის სამუშაო დღე, გაგვედიდებინა ხელფასი, გაგვეუმჯობესებინა შრომის ჰიგიენური პირობები, მოგვეპოვებინა პროფესიული ორგანიზაციის თავისუფლება და სხვ.

ამ ღამეს არჩეულ იქნა ბათომის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯგუფი ამხ. სოსოს მეთაურობით. (ამ მომენტიდან მე ჩემს თავს ვსთვლი ჩვენი პარტიის წევრად).

მე განვაგრძობდი არალეგალური სტამბის მოწყობის საქმეს და ხშირად ვხვდებოდი სოსოს ს. ლომჯარიას ბინაზე. ერთერთი შეხვედრის დროს მან წასაკითხად მომცა „ისკრა". მაშინ ჩინეთში უცხოელთა წინააღმდეგ ბოქსერთა მოძრაობა იყო გაჩაღებული. იმპერიალისტური სახელმწიფოები ამ ქვეყანას სჯიჯგნიდნენ, ნავსადგურებს იკავებდნენ. რკინიგზებს აშენებდნენ. ყოველგვარ კონცესიებს იღებდნენ და ჩინეთის მშრომელებს დაუზოგავათ ყვლეფდნენ. ჩინეთის ხალხი აჯანყდა მჩაგვრელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული და იმპერიალისტური ქვეყნების, მათ შორის რუსეთის, საზოგადოებრივ აზრს ჩინელების წინააღმდეგ ამხედრებდნენ. „ისკრაში" კი მე წავიკითხე სტატია, რომელიც ჩინეთს ეხებოდა, როცა ამაზე სოსოს შევეკითხე, მან განმიმარტა უცხოელთა შემოსევისაგან ჩინეთის ხალხის თავდაცვის უფლება. ამ სტატიას ხელს აწერდა ი. ლ. სოსომ იქვე მირჩია, რომ მე „ისკრაში" განსაკუთრებული ყურადღება მიმექცია ამ ი. ლ.-ის (ლენინის) სტატიებისათვის.

სოსოს ორგანიზაციული და სააგიტაციო - პროპაგანდისტული მუშაობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. მუშები მეწარმეებს უკვე უყენებდნენ ცალკეულ მოთხოვნებს. ხდებოდა ნაწილობრივი გაფიცვები ხან ცალკეულ ქარხნებში, ხან ცალკეულ საამქროებში.

მაგრამ სოსო ამზადებდა ყველა საწარმოს მუშათა საერთო გაფიცვას. ეს გაფიცვა კიდეც დაიწყო 1902 წლის მარტის პირველ რიცხვებში. მეწარმეებს წაუყენეს ზემოაღნიშნული ხასიათის საერთო მოთხოვნები. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მათ უარი განაცხადეს, და საერთო გაფიცვამაც იფეთქა.

უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი მისია — მომეწყო სტამბა — საერთო გაფიცვის დაწყებისათვის მთლიანად არ ყოფილა შესრულებული, და ამიტომ გახურებული გაფიცვის დროს დიდი სიძნელით გვიხდებოდა პროკლამაციების აწყობა და ბეჭდვა. შრიფტისათვის საჭირო კასის უქონლობის გამო, ასოები დანაწილებული იყო პაპიროსისა და ასანთის კოლოფებში. რადგან საბეჭდი დაზგა არა გვქონდა, აწყობილი მასალა ჩოთქით გამოგვყავდა. ვინც ბეჭდვის ტექნიკას იცნობს, მიხვდება, რომ ეს ბეჭდვის პრიმიტიული წესია, მაგრამ ასე ტანჯვა-წვალებით დაბეჭდილი თვითეული ფურცელი რევოლუციის ცეცხლს ანთებდა მრავალი ასეული მუშის გულში.

ეს სტამბა მოთავსებული იყო იმ ბინაში, რომელშიც სოსო ცხოვრობდა. იგი ერთ ოთახში თვითეულ საწარმოს საგაფიცვო კომიტეტის წარმომადგენლებს ღებულობდა, მათ დირექტივასა და მითითებებს აძლევდა, ამავე დროს გადიოდა მეორე ოთახში, სადაც სტამბა იყო მოთავსებული, და გადმოგვცემდა ნაწილობრივად, ცალკეული აბზაცებით შედგენილ პროკლამაციათა ხელნაწერს, ასწორებდა კორექტურას, შეჰქონდა შესწორებები ახლად მიღებული ცნობების მიხედვით და გვეხმარებოდა ბეჭდვაში.

ვინაიდან გაფიცვაში პოლიცია და ჟანდარმერია ჩაერივნენ, პროკლამაციები უფროდაუფრო პოლიტიკურ ხასიათს ღებულობდა.

7 მარტს ღამით 400-მდე მუშა დააპატიმრეს და საეტაპო სამხედრო ყაზარმებში მოათავსეს.

8 მარტს რამდენიმე ასეული მუშა საპყრობილისაკენ გაემართა. მათ მოითხოვეს: გაათავისუფლეთ დაპატიმრებულნი ან ჩვენც დაგვაპატიმრეთ, რადგან ჩვენც გაფიცვაში ასეთივე დანაშაული მიგვიძღვის. საპყრობილესთან მათ შეიტყვეს, რომ დაპატიმრებულნი საეტაპო ყაზარმაში იმყოფებიან, და იქითკენ გაეშურნენ. ისინი ყაზარმის ეზოში შეიყვანეს და ჭიშკრები დაუკეტეს.

მეორე დღეს, 9 მარტს, უკვე ყველა გაფიცული მუშა, რამდენიმე ათასი კაცი, გაემართა ყაზარმებისაკენ. რევოლუციური სიმღერების ძლერით. მათ მოითხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება.

ყაზარმები ჯარებით გარშემორტყმული აღმოჩნდნენ.

სრულიად გაუფრთხილებლად ამ მუშებს, რომელთა წარმომადგენლები ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ დაპატიმრებულთა განთავისუფლების შესახებ, შეხვდნენ შაშხანების ხშირი სროლით. რის შედეგად იქვე მოკლულ იქნა დაახლოებით 15 კაცი, დაიჭრა რამდენიმე ათეული კაცი, რომელთაგან ბევრი გარდაიცვალა საავადმყოფოში ან შინ.

სოსო ბოლომდის იმყოფებოდა ამ ადგილას, იძლეოდა მითითებებს და ხელმძღვანელობდა ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტს.

9 მარტის ამბებმა ფეხზე დააყენა სამხრეთ რუსეთის მთელი შავიზღვის სანაპირო, განსაკუთრებით კი ამიერკავკასია და საქართველო. დაპატიმრებულ მუშათა უმეტესობა მალე გამოუშვეს და თავიანთ სოფლებში გადაასახლეს. იქ მათ გააჩაღეს რევოლუციური მოძრაობის ცეცხლი. პატარა ჯგუფი საპყრობილეში დასტოვეს და მისი საქმე სასამართლოს გადასცეს.

ქარხნები დახურეს, მაგრამ იქ მუშაობა თანდათან იწყებოდა, რადგან მუშათა მოთხოვნებს ნაწილობრივ აკმაყოფილებდნენ.

საწრეო მუშაობა გაცხოველებით უფრო ფართო მასშტაბით კვლავ გაჩაღდა და ორგანიზაცია განმტკიცდა, მაგრამ მალე სოსო ჟანდარმებმა დააპატიმრეს და ამან მოძრაობა დიდად შეაფერხა.

სოსოს დაპატიმრების ამბავი მე შემდეგნაირად შევიტყვე: ღამით ჟანდარმებმა და პოლიციამ ჩემი ბინა გულდასმით გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. ამ გაჩხრეკისას მე მათ თავი მოვაჩვენე გულუბრყვილო და ნაკლებად-შეგნებულ ყმაწვილად. ერთმანეთს რაღაცა ჩასჩურჩულეს და გადაწყვიტეს არ დავეპატიმრებინეთ. მაგრამ ჟანდარმთა ოფიცერმა წინადადება მომცა მეორე დღეს მასთან გამოვცხადებულიყავი ზოგიერთი ახსნა-განმარტების მისაცემად.

როცა ჟანდარმთა განყოფილებაში გამოვცხადდი, განვაგრძე გულუბრყვილო ყმაწვილის როლის გათამაშება. ჟანდარმი შემეკითხა: ვიცნობ თუ არა იოსებ ჯუღაშვილს. მაშინვე მივხვდი, თუ ვისზე იყო ლაპარაკი, თუმცა ნამდვილად არ ვიცოდი, რომ სოსო იოსებ ჯუღაშვილი იყო. დავამახინჯე გვარი და უპასუხე. ჯუღაშვილის გვარი პირველად მესმის, მხოლოდ ჩემს მამას იოსები ერქვა მეთქი. ჟანდარმმა დამარცვლით გამიმეორა ჯუ-ღა-შვი-ლი. მაგრამ მე ვუპასუხე, არ ვიცი-მეთქი. ჟანდარმთა ოფიცერმა გაიღიმა, ხელი ჩაიქნია და ოთახიდან გავიდა.

საღამოს ს. ლომჯარიას ბინაზე მივედი და დავრწმუნდი, რომ სოსო დაეპატიმრებინათ.

სოსოს დაპატიმრების პირველ დღეებში ბევრი სხვა ამხანაგიც იჯდა საპყრობილეში და მათ სანახავად ნათესავები დაიარებოდნენ, ან დაპატიმრებულთაგან ვინმეს გამოუშვებდნენ. ამიტომ სოსოსთან საკმაოდ რეგულარული ურთიერთობა გვქონდა და საპყრობილიდან იგი განაგრძობდა ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ საპყრობილეში დარჩა მხოლოდ რამდენიმე კაცი, რომელნიც სამართალში იყვნენ მიცემული. ნახვის ნებართვას უფრო იშვიათად იძლეოდნენ და სოსოსთან ურთიერთობის გაბმაც გაძნელდა.

გადავწყვიტეთ ორი ამხანაგი გაგვეგზავნა გორში, რომ სოსოს დედა მოეძებნათ და ბათომში ჩამოეყვანათ. მისი საშუალებით გვინდოდა გაგვეადვილებინა სოსოსთან დაკავშირება. დედა მოვძებნეთ, მაგრამ მისი ჩამოყვანა ვერ მოვახერხეთ, რადგან ამ ამხანაგებმა თან პროკლამაციები წაიღეს და მათი გავრცელების დროს ისინი სადღაც დააპატიმრეს.

ამ დროისათვის ტფილისიდან ჩამოვიდა დათიკო მოხევი (ხართიშვილი), რომელსაც უნდოდა გაეწია მუშაობა სხვა მიმართულებით; იგი ჰგმობდა სოსოს ტაქტიკას, მაგრამ ამან გამოიწვია მუშების აღშფოთება და წინააღმდეგობა. ისინი სოსოს აღმერთებდნენ.

დაიწყო გაცხარებული დავა. მოხევის მხარეზე აღმოჩნდნენ ის ინტელიგენტები, რომლებიც ამბობდნენ, ბათომში არალეგალური მუშაობა შეუძლებელია, კაპიტალისტები საწარმოებს სხვა ქვეყნებში გადაიტანენო და სხვ.

საჭირო გახდა დავის მოსაგვარებლად მოგვეწვია ამხანაგები ტფილისის ორგანიზაციიდან. ჩამოვიდნენ მიხო ბოჭორიშვილი, არჩილ დოლიძე და ზაქრო ჩოდრიშვილი, რომლებმაც სოსოს მუშაობა სავსებით მოიწონეს.

ახლა არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს იყო მომავალი ბოლშევიკების და მენშევიკების დავა და პრინციპული უთანხმოება.

გრიგოლ აბაშიძე

სტუმარ-მასპინძლობა

[illegible]
[illegible], არ [illegible].
[illegible] რა არის, — რათ გაიღვიძე!
სახლში არ მიდის ძაუხუარა.
ახავს, გადამკრავს, მოხუჭავს
თვალებს,
[illegible] იწმენდს ხელებს ერთხელაც
მაგიდაზე დევს გაცხელი მთვარე—
ოხური ველი ვეებერთელა.
[illegible] შეხვდე, მერვე [illegible]
აქაო გადადგა ძაუხუარა,
მშვიდი მიჩები შენ გენაცვალე,
სოფელს იცის არ მხოლ სტუმარი.
ხვალ კარზე ვიყავ უწყებულე
ჯოგსაც,
და თუ მიყურებ დღეს ხალისიანს
კაცის სახელი და სახლი მოგხა
[illegible] და რევოლისაში!
[illegible] და სახეზე ვაჟკაცს ჯიშიან,
გადიყვანა შუქი ლანდებათ,
შვებულ და რა დროს თავპატიჟება,
[illegible] უჯეიანდება!
გამხიარულდა ოხო ახავე,
და გაიმართა ხმა ძველებური,
ხურუნზე იდო გობით კალმახი,
[illegible] აჭრელებული.
დრო გადავიდა... შეიწვა ცხვარიც,
არ [illegible], რახან შევებით,
დავლიეთ, აღარ გვრჩებოდა ცვარი,
დავლიეთ მტრების გადაშენებას!
ახლე დოქი ძმურათ გამივსე,
არ იშურებდი ყანწებს პურადი,
თან იცილებდი ჩუმათ [illegible]
და ეშმაკურად თვალებს წურავდი.
„მიმპარე" მივხვდი, თითქოს ვერ
ბედავს.

შენ ეშმაკურად მოგეგზარება,
იქნებ მართალი იყოს ლეგენდა,
და შენ იხური მქონდეს ძირები.
იქნებ შენ შენები ახალი ვარ
და აბაშიძე არ ვარ ნამდვილი,
ამ წინაპრების ცას და ხეივანს,
კვლავ დაუბრუნდე გადავარდნილი,
მამათა დარდი გაქრა მიწებს,
სულ სადგან შეხვდენ ჩვენი ფიქრები,
და კომკავშირში [illegible],
ჩვენ უსახლოდაც ძმები ვიქნებით.
[illegible] და დება მთიხის
[illegible],
სახლი აჩვენა თვალებს ბინდებით
და სადღაც მთვარე—იხური ქუდი,
ფიჭვის ტოტებში [illegible].
გამოვიდა გარეთ, თვალებს
ვადევნებთ,
შენ ახვე ტკბილად მღერი, არ წვება,
წვერით შემართულ იხურ ხატვრებს,
დამგვანებიან ბნელში ნაძვები.
მთებიდან ქარის გრილი მობერვა,
მთურვალებს, გვალხენს დილის სიახლით,
ბუჩქებში ცივა [illegible]
და ხევში იხრავს დიდი [illegible].
გადაიკარგა სადღაც ირემი,
დამე ნახტომზე რომ [illegible]
და როგორც იხა ბაყათირები
მთებს დგებიან ხუმბერაზები.
დიდ ხანს ვილხინეთ, ბინდში
ერთმანეთს,
განვდიბდით ფიქრებს და ვერთგულეთ,
ვიდრე დახრიდა ძილი ჩვენს თვალებს,
სიხარულისგან გაბრწყინვებულებს!

* * *

ა. ჭყუასელი

დაწყ. და საშ. სკოლების მუშაკთა კავშირის ც. კ-ის თავმჯდომარე

დანაშაულებრივი უყურადღებობა

ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდა, მასების კომუნისტური განათლება პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. განათლების ორგანოებს უდიდესი მოვალეობა აწევთ, მაგრამ მათ ჯერ კიდევ საკმარისად ვერ გარდაქმნეს მუშაობა, ვერ გადალახეს კაბინეტური კარჩაკეტილობა და ვერ ავიდნენ მოწოდების სიმაღლეზე.

მრავალ მახინჯ მოვლენას აქვს ადგილი და განათლების ორგანოები მათ მოთმინებითა და გულდამშვიდებით უყურებენ. აი, მაგალითად, ერთი ფაქტი:

ტფილისის ქუჩებს (და არა მარტო ტფილისისას) ხშირად „ამშვენებს" განცხადებები: „ვამზადებ მოწაფეებსო". ასეთ განცხადებას განსახკომის და განათლების განყოფილებათა კედლებზეც დაინახავთ, ვინაა ეს ხალხი, რომელიც „ამზადებს" მოწაფეებს, ვინ უწევს მათ კონტროლს, ვინ ამოწმებს მათ მუშაობას, ვინ არკვევს, თუ რა პროგრამით ასწავლიან, რა მეთოდით სარგებლობენ, რითი ჰკვებავენ ცოდნასმოწყურებულ ხალხს, რას აძლევენ მათ და სხვა?

ჩვენს სკოლებში სპეციალურად შერჩეული პირები ხელმძღვანელობენ სასწავლო-პედაგოგიურ პროცესს, სტაბილური პროგრამებით და სახელმძღვანელოებით ასწავლიან და ჯერ კიდევ მაინც გვაქვს დამახინჯებანი, შეცდომები, სწავლების ხარისხის ჩამორჩენა და სხვ. ყურთვე იბადება, რა მდგომარეობა იქნება იქ, სადაც თითო-ოროლა მასწავლებელი, ჯიბის ინტერესებით ამოძრავებული, ყოველგვარი კონტროლისა და ზედამხედველობის გაუწევლად, თავისი ნებასურვილისამებრ „ამზადებს" მოსწავლეებს? დაინტერესდნენ თუ არა განათლების ორგანოები ამ მოვლენით? როდისმე, შეუხედნიათ თუ არა მათ ინსტრუქტორს ასეთ „სკოლებში". პასუხი მოკლეა—არა!

შეიძლება განა ასეთი საქმისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება? ნუთუ განათლების ორგანოები დაინტერესებული არ უნდა იყვნენ იმ ათეული და ასეული ახალგაზრდებით, რომელთაც ცოდნა სწყურიათ და ამ „სკოლებში" მიდიან. ეს ხალხი ხომ შემდეგ ან სიმწიფის მოწმობაზე იჭერს გამოცდას, ან ჩვენი სკოლის რომელიმე კლასში ჯდება, და საბჭოთა სკოლის დოკუმენტებით იარაღდება; ძალიან ხშირად ამ დოკუმენტსა და მათ ფაქტიურ ცოდნას შორის მთელი უფსკრულია. და განა ყველაფერ ამასთან ერთად ისიც ცნობილი არ არის, რომ ხშირად ერთი და იგივე პირი „მომზადებელიცაა" და „გამომცდელიც". განათლების ორგანოების ამ გულგრილობას გამართლება არ აქვს—იგი პირდაპირი დანაშაულია.

ჩვენ ხელი მოვკიდეთ ამ საქმის შესწავლას და ჩვენს შეკითხვაზე, განათლების ორგანოები მხოლოდ იმას გვიპასუხებდნენ, რომ მათ მასწავლებლებისათვის ნებართვა არ მიუციათ. თითქოს ეს გასამართლებელი საბუთი იყოს. გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ძლიერ ხშირად ეს „მომზადებელნი" ტყავს აძრობენ მოსწავლეებს და ცოდნას კი არაფერს აძლევენ. მაგ. ერთ მოსწავლეს პატრონმა „მასწავლებელს" 11 დღეს 250 მან. გადაუხადეს და გამოცდა კი ვერ ჩააბარებინა. თვიური გადასახადი ასეთ „სკოლებში" 100 მანეთზე მეტია. სწავლის მწყურვალნი ზოგიერთმა მასწავლებელმა საწველ ფურად გაიხადა და სპეკულანტისაგან ბევრად არაფრით განსხვავდება. კავშირის ც. კ-მა სპეციალურად განიხილა ეს საკითხი, მოიწვია განათლების ორგანოების წარმომადგენლები, მაგრამ, აბა, რა „საკადრისია" კავშირის ორგანოების სხდომებზე განათლების ორგანოების წარმომადგენლების მოსვლა!

ჩვენ მოვითხოვთ სასწრაფოდ ბოლო მოეღოს ასეთ პრაქტიკას და შემუშავდეს წესი, რომელიც უზრუნველყოფს ასეულ ახალგაზრდობის ნამდვილ პედაგოგიურ დახმარებას, ნამდვილ კომუნისტურ, მეცნიერულ მომზადებას.

გურჯაანის ჯანმრთელობის ორგანოები უნდა გაჯანსაღდეს

საბჭოთა კახეთში ბევრი რამ არის მოსაწონი, დასაფასებელი და სანიმუშო. კოლექტიური შრომის ფერხულში ჩაბმული კახეთის მშრომელი მოსახლეობა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ახალ და ახალ წარმატებებს აღწევს.

გურჯაანი—ეს კახეთის შუაგულია. ის მდიდარი და უხვია თავის ბუნებით; სადაც დღეს ქალაქი გურჯაანია გაშენებული, იქ ხუთიოდე წლის წინათ მიწური ქოხმახები თუ შენობდა მიდამოს. ახლა — კოხტად გამოჭიმული საცხოვრებელი და დაწესებულებათა სახლები და საქვეყნოდ ცნობილი კურორტ ახტალის აგარაკები იზიდავს მნახველს.

ამ ბუნებით მდიდარ და ლამაზ კუთხეში ყველაფერი ლამაზად და რიგიანად როდი არის მოწყობილი. ეს უნდა ითქვას ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა მუშაობაზე, მშრომელთა საექიმო მომსახურებაზე. მართალია, რაიონში ფართოდ არის გაშლილი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი, მაგრამ მათი მუშაობა ბევრგან ძალიან სუსტია.

სხვა რომ არა იყოს რა, ავილოთ თვით გურჯაანის პოლიკლინიკა (გამგე: ვ. ცინცაძე), რომელიც რაიონის გლეხთა სახლის ოთხ ვიწრო ოთახში შეკედლებულა და წარმოადგენს ნავაითა და პუჭყით განთქმულ დაწესებულებას.

პოლიკლინიკაში, თუ შეიძლება ასე ეწოდოს მას, მშრომელი ვერ მიიღებს ტუბერკულოზის, ყელ-ყურის, თვალის და სხვა სპეციალურ სამკურნალო დახმარებას. არ არის გატარებული მშრომელთა საექიმო დახმარების დისპანსერიზაცია, არ ტარდება მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის შესწავლა ბინაზე, წინასწარ პროფილაქტიკური ღონისძიებათა განხორციელება. პოლიკლინიკას დახმარება არ გაუწევია რაიონის სამანქანო-სატრაქტორო სადგურისა და მისი სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეებისათვის.

პოლიკლინიკაში მოისუსტებს შრომის დისციპლინა: არავინ არ უწევს კონტროლს, თუ როდის ცხადდება თანამშრომელი. თვით ჯანმრთელობის განყოფილების გამგის ექ. შ. მირიანაშვილის თქმით, ის იძულებულია ხშირად დადგეს პოლიკლინიკის კარებთან და შეუთვალოს ექიმებს, რომ დროზე გამოცხადდნენ სამუშაოზე. პოლიკლინიკას არა ჰყავს სპეციალისტთა საკმაო კადრები, როგორიც არის ვენეროლოგი, გინეკოლოგი, ქირურგი და სხვ.

სარაიონო ცენტრს საავადმყოფო არა აქვს. მთელ ამ დიდ რაიონს სოფ. ველისციხის 30-საწოლიანი საავადმყოფო (გამგე ალ. ქათამაძე) ემსახურება. ის ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფება, მაგრამ ბიუჯეტის ათვისება 7—8 პროცენტს არ აღემატება. ამის გამო ავადმყოფების კვება ჯეროვან დონეზე ვერ დგას. საავადმყოფოს საიზოლაციო-ინფექციური განყოფილება ყოვლად უვარგის და შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული. მის კეთილმოწყობაზე არავინ ზრუნავს.

სოფლის მოსახლეობის საექიმო მომსახურება ხომ ძალიან ცუდია. სანიმუშოდ ავილოთ სოფ. კაჭრეთის საექიმო პუნქტი. ის მოთავსებულია საცხოვრებლადაც გამოუსადეგარ ბინაში. პუნქტის შენობაშივე მოთავსებულია სასოფლო საბჭო, რომელსაც დღემდის არ უფიქრია პუნქტისთვის და თავისთვისაც გამოენახა შესაფერისი ბინა.

ბრიგადის შეკითხვაზე, თუ რატომ ხდება ის ფაქტი, რომ ამ საექიმო პუნქტს ხალხი არ ეტანება, — ექ. გ. ბოლქვაძე ამბობს: „ავადმყოფობას თანდათანობით ვსპობთო". სინამდვილეში კი სულ სხვა აღმოჩნდა. პუნქტში გასინჯული ავადმყოფთა რიცხვის შემცირება იმით აიხსნება, რომ ექიმი ე. წ. „კერძო პრაქტიკით" არის გატაცებული. კაჭრეთში არ არის აფთიაქი. ამ შემთხვევაში პუნქტს უნდა ჰქონდეს პირველი დახმარებისათვის საჭირო მზა-მედიკამენტები (პიტნის, ვალერიანის და ოპიუმის წვეთები, ქაფური და სხვ.). მაგრამ მედიკამენტებს ვინ ჩივის, როცა პუნქტში უბრალო ბინტიც არ არის.

— პუნქტს თანხა არა აქვს: აბა რითი შევიძინო მედიკამენტები? ჩემი ფულით შეძენილი ბინაზე ყველაფერი მაქვს და თუ საჭირო იქნება, იქ გავუწევ ავადმყოფს დახმარებასო — თავს იმართლებს პუნქტის გამგე.

არც სოფელ შრომის საექიმო პუნქტშია რიგიანი მუშაობა. პუნქტის გამგეს ექიმ ნ. ბრეგაძეს ისევ „პრაქტიკა" და „პრაქტიკა" ელანდება. ეს პუნქტი ემსახურება სამ სოფლის 1500-ზე მეტ კომლს, მაგრამ ამბულატორიაში ხანდახან 10 კაციც არ ტარდება. როგორც მრავალ საექიმო პუნქტში (კარდენახის, ბაკურციხის, ზემო-გურჯაანის და მუკუზნის გამოკლებით), ისე აქაც სამუშაო საათები არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებული. ეს საათები მეტ წილად ისევ და ისევ იმ „წყეულ" კერძო პრაქტიკას ჰხმარდება, რომლის მოუწესრიგებლობის გამო მრავალი ექიმი გადამტერებია ერთიმეორეს და კიდევ მრავალი გადაემტერება მომავალში.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რას იღებს ავადმყოფისაგან ბინაზე გასინჯვისათვის, ექ. ნ. ბრეგაძემ განაცხადა:

— ჩვენს სოფელში ძალიან ღარიბი მოსახლეობაა, ამიტომ გააჩნია რას მომცემენ. ზოგჯერ გასამრჯელოდ ქათმებსაც კი ვჯერდებით.

თითქმის ყველა პუნქტზე მოუწესრიგებელია ფინანსიური საქმეები. ამ მხრივ თვით ჯანმრთელობის განყოფილებაშიც არ არის კარგი სურათი). ავადმყოფის ამბულატორიული გასინჯვისათვის ქალაქის პოლიკლინიკა ერთიდან სამ მანეთამდე იღებს, კაჭრეთის პუნქტი — ერთ მანეთს; ასევე სხვა პუნქტებშიც; რამდენიც პუნქტია — იმდენი სხვადასხვა გამოსაღებია დაწესებული. არსებული წესით კოლმეურნეებს უფასო ამბულატორიული მომსახურება უნდა გაეწიოთ; ურიათუბნის საექიმო პუნქტი კი ექ. კოჩინევის (გურჯაანის სამალარიო სადგურის გამგე) ნებართვით (!) კოლმეურნეებისგან 50 კაპიკს იღებს. ეს იმ დროს, როცა ამის შესახებ ჯანმრთელობის განყოფილებამ არაფერი იცის.

როგორც აღვნიშნეთ, საექიმო პუნქტები კეთილმოწყობილი არ არის. ამას პუნქტის გამგეები უსახსრობას აბრალებენ, ნამდვილად კი ჯანმრთელობის განყოფილებას თავისი ადმინისტრატიული ხარჯების დასაფარავად საექიმო პუნქტებიდან საკმაოდ მოზრდილი თანხა მიაქვს. მაგალითად: 1933 წელს წაღებულია 11.105 მანეთი, 1934 წ. — 4.107 მანეთი, ხოლო 1935 წლისათვის 2282 მანეთის წაღება მოასწრეს. ეს მაშინ, როცა საექიმო პუნქტებს კაპიკიც არ ეძლევათ ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებიდან.

ჯანმრთელობის განყოფილების უილაჯობას სხვათა შორის ისიც მოწმობს, რომ ორ წელზე მეტია, რაც ჯანსახკომმა რენტგენის კაბინეტი მისცა და მის ამუშავებას დღემდის საშველი არ დაადგა. რაიონში არ არის გატარებული საკავშირო სახკომსაბჭოს და საქ. ც. პ. (ბ) ც. კ-ის 1935 წლის 4 მარტის დადგენილება სამედიცინო მუშაკებისათვის ხელფასის მომატებისა და სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის გარდაქმნის შესახებ. ეს კი არა, რაიონის მედმუშაკების უმრავლესობას გასული წლის დეკემბრის ხელფასიც არ მიუღიათ.

არც ერთ საექიმო დაწესებულებას არა აქვს შინაგანი განაწესი და თანამშრომელთა შორის ფუნქციების განაწილება, არ არიან შესწავლილი რაიონის ექიმები კვალიფიკაციისა და შრომის სტაჟის მიხედვით.

რაიონში ფორმალურად არსებობს სახელმწიფო სანიტარული ინსპექტორის (ვ. ცინცაძე) თანამდებობა. მას არც მუშაობის გეგმა აქვს და არც არაფერი გაუკეთებია.

ვფიქრობთ, ფაქტები სრულიად საკმარისია, რომ აქედან გურჯაანის რაიონის ხელმძღვანელებმა შესაფერისი დასკვნა გააკეთონ და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება ნამდვილად გააჯანსაღონ.

„კომუნისტის" ბრიგადა: შ. ჯიქია, ექ. ნ. ქერქენჯია (ჯანსახკომის წარმომად.) ექ. შ. ეზიაშვილი; (საქ. ექიმთა საზოგადოება); ი. სიხარულიძე (მედსანშრომის კავშირი).

* * *

პატარა ფელეტონი

ზოოტექნიკოსის დღიურიდან

...აპრილის მშვენიერი დღეა. რა კარგია გაზაფხული! მშვენიერი დღეა და მეც მშვენიერ გუნებაზე ვარ „მა-მა-მა"—ტიტინებს ჩემი ბალღი. ხაცაა ენას გამართავს, თავს ძალას ატანს, რომ „მამა" დამიძახოს. ჩემი „ქალბატონიც" კარგ ხასიათზეა. ისიც სიხარულით შეხვდა ჩემს დანიშვნას ადიგენის რაიონში. მართალია, ტფილისში ურჩევნია ყოფნა, მაგრამ მე ხომ ზოოტექნიკოსი ვარ! რაიონში უნდა წავიდე. აბა რუსთაველის პროსპექტზე ხომ არ მომიწყობენ მეცხოველეობის სახაქონლო ფერმას?

გადაწყდა... დღეს უკვე დაიწერა ბრძანება. საქ. მიწსახკომი მგზავნის ადიგენის რაიონში ზოოტექნიკოსად.

„მეცხოველეობის საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს მთელმა პარტიამ, ყველა მუშაკმა, პარტიულმა და უპარტიომ".

„მოვკიდებ მაშ! მივდივარ ადიგენში და მალე ჩემს ჯალაბობასაც თან წავიყვან.

○

...ეს რა უბედურებაა!? რა მინდა ამ საპარიკმახეროში? ზოოტექნიკოსი ვარ თუ დალაქი? ხუთი დღეა ადიგენში ვარ და არავინ ყურს არ იბერტყავს ჩემთვის საცხოვრებელი ბინის გამოძებნაზე. რაიმიწგანი სოფლის საბჭოსთან მგზავნის, სოფლის საბჭო რაიმიწგანთან და ასე მაგდებენ აქეთ-იქით საზიარო ძროხასავით. „ღმერთმა" უშველოს ამ პარიკმახერს! კეთილი კაცი ყოფილა. პატივი მცა, შეიფარა, როგორც უცხო კაცი. მართალია, მაკრატლის კაწკაწი ყურს მიყრუებს, მართალია ჩემი კოსტიუმი ბალნით იფარება ყოველდღე, მაგრამ არაუშავს რა. ბალანმა არ უნდა შეაშინოს ზოოტექნიკოსი, რომელსაც პირუტყვთან უნდა ჰქონდეს საქმე. ალბათ მალე გამიძებნიან ბინას.

○

... საექიმო პუნქტში ამოვყავი თავი. ბინას არა უშავს. სამ სულს არ გაგვიჭირდება აქ ცხოვრება. დღესვე გავგზავნი დეპეშას. ორ დღეში ჩემი ცოლშვილიც აქ იქნება. სოფელ ვახანის უბნის ტექნიკოსად გამომყვეს. მაშ! უნდა მოვკიდო ხელი მეცხოველეობას. ერთი კი არის. ორი დღეა საექიმო პუნქტში ვცხოვრობ და ყველას ახლად ჩამოსული ექიმი ვგონივარ. ყოველ დღე მოდიან, მიკაკუნებენ. გადავწყვიტე კარებზე გავაკრა განცხადება:

„ექიმი არა ვარ, მე ვარ ზოოტექნიკოსი".

○

...რა საშინელ დღეში ვარ! ცოლისათვის მგზავრობას უწყენია. სიცხე აქვს 39,5... ვაი თუ ისევ გაეხსნა პროცესი! ტუბერკულოზი! პო! მოიხმოს შენი ხსენება! ვაი! რა ხალხში ჩავარდი! ნუ თუ მართლა ისე გაველურდებიან, რომ ასეთი ავადმყოფით ქუჩაში გამომაგდებენ. მე ზოოტექნიკოსს, წარმოგზავნილს მეცხოველეობის წინ წასაწევად? მმ! მეცხოველეობის! მე ჯერ ადიგენში ერთი გოჭიც თვალით არ მინახავს ისე გადამიყოლა უბინაობამ. მომკიდე ხელი. მეცხოველეობასო! მომაკიდებინეთ და მოვკიდებ. ნუ თუ, საექიმო პუნქტის ახლად დანიშნული ექიმი ისე გათავხედდება, რომ ბლექიანი ავადმყოფით და ბავშვით გარეთ გამყრის! რა კოშმარია!

○

...მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. მე უკვე ქუჩაში ვარ. ჩემი ბარგი ცის ქვეშ ყრია.

სად წავიყვანო ავადმყოფი? სად წავიყვანო ბავშვი? განა წარმოვიდგენდი, რომ ადიგენში ასე უგულგულო ხალხთან მექნებოდა საქმე? რა ვქნა? —დავტოვებ ვინმესთან ავადმყოფს. ვინმეს ორი დღით ბავშვს მივაბარებ. წავალ ტფილისში. მივალ მიწსახკომში. ვიტყვი ყველაფერს და სულ ქვას კუდით ვესროლინებ ამ უგულგულო ადამიანებს, რომლებმაც ისე გამიმწარეს ცხოვრება!

○

...ისევ საპარიკმახეროში ვარ. როგორ მოვტყუვდი! არაფერი მიშველა ტფილისში ჩასვლამ, კადრების სექტორში არც კი მომისმინეს. იქ ადიგენელთა დეპეშა წამიკითხეს. იწერებოდნენ: „ზოოტექნიკოსი გამოგვექცა და უკანვე დაგვიბრუნეთო". დაუყოვნებლივ დაბრუნდი სამუშაოზეო მიბრძანეს, მეც დავბრუნდი და ისევ ჩემს პარიკმახერს შევეხიზნე. მე განა არ მინდა მუშაობა! მწყურია, მწყურია მუშაობა... მომეცით საშუალება ვიმუშაო, მეცხოველეობის წინ წასაწევად. საპარიკმახეროში უკვე დავეუფლე ადამიანების კრეჭის ტექნიკას. მომეცით უფლება დავეუფლო ცხვრების კრეჭის ტექნიკასაც.

რა კეთილი კაცია ეს პარიკმახერი. ხომ შეუძლია დოიხვე გამომაგდოს გარეთ? კეთილი კაცია უსათუოდ. მართალია კედელზე გაკრული აქვს: „ნისიად არავის", მაგრამ ის სისტემატურად ღალატობს ამ პრინციპს.

○

...ხამი დღეა ფოსტაში ვათევ ღამეს. შემაშინა პარიკმახერის ჩამომშვებულმა ცხვირმა და მოღუშულმა სახემ. არც ისე კეთილი ყოფილა, როგორც მეჩვენებოდა. ფოსტაში უკვე დავეუფლე სატრიალებელი ტელეფონის ტექნიკას. ვატრიალებ არანივით ტელეფონს და ვურეკავ ხან მიწგანს, ხან აღმასკომს, ხან სასოფლო საბჭოს ბინის თაობაზე.

○

საჩაიე «Вахнанский духан» —აი ჩემი საცხოვრებელი ბინა. აქ შევედი ფოსტიდან გამოგდების შემდეგ რევოლუციური გზით. აქ მოვუყარე თავი გაბნეულ ცოლშვილს. მოვშალე ამ თაროებს, დახლი კი დარჩეს. გამომადგება. მაწუხებს მხოლოდ პირდალებული ფანჯრები. ორპირი ქარია საჩაიეში. რა ვქნა? ქაღალდებს გავაკრავ... პო! არ დამავიწყდეს. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ხვალ უნდა მოვხსნა აბრა: «Вахнанский духан»—კარებზე კი გავაკრავ: აქ ჩაი აღარ იყიდება".

○

...მე უკვე უბედური კაცი ვარ. საჩაიეში, რომელშიაც ქარი თავისუფლად დანავარდობდა, გამიცივდა ჩემი ერთად-ერთი ბავშვი. ვერაფრით ვუშველე. მოკვდა და სამუდამოდ მომიკვდა გული. საჩაიედანაც გამომაგდეს რადგან იქ მაღაზიას ხსნიან ხვალ.

რაიმიწგანის გამგე და რაიაღმასკომის თავმჯდომარე მგონი მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ჩემთვის საჭიროა ბინა. ბენარის საბჭოთა მეურნეობაში გამომიძებნიათ. წავალ, გადავსახლდები. უჰ! ტანში მაჟრჟოლებს, ვერ ვუძლებ ბავშვის მოგონებას...

○

...უკვე ბენარის საბჭოთა მეურნეობაში ამოვყავი თავი. დირექტორმა მოწყალებით მიიღო და მომათავსა ბინაზე, რომელიც მუზეუმიც არის აგრონომიული ექსპონატებით. იყოს ექსპონატები... მე არ მიშლის. ნახევრად წითელი კუთხეც არის. იყოს წითელი კუთხე. „ვარხანსკი დუხანს" მაინც სჯობს. გაზეთებიც არის. ნახევრად სამკითხველოც არის მოდიან მუშები. მე ვუღებ კარებს. დასხდებიან, კითხულობენ გაზეთებს. აქ კულტმუშაკი ერთ კუთხეში პლაკატებს ხატავს. მე კი მეორე კუთხეში სადილს ვხარშავ „ქერასინკაზე". ყველას წითელი კუთხის ახლად დანიშნული გამგე ვგონივარ. არა უშავს. მალე გაიგებენ, ალბათ, რომ მე ზოოტექნიკოსი ვარ. რა კარგი შესრულებულია ეს პლაკატები აგერ ჩემი სასთუმლის პირდაპირ რომ გაუკრავთ: „კადრები სწყვეტენ ყველაფერს!" ...ამჟამად მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანებს, კადრებს, მუშაკებს, რომლებიც დაეუფლენ ტექნიკას".

ადიგენელნო! მოდით წაიკითხეთ!

○

ეს დღიური ეკუთვნის ალექსანდრე მიხეილის-ძე დავითიანს, ადიგენის რაიონის ვარხანის საუბნო ზოოტექნიკოსად გაგზავნილს მიწსახკომის მიერ. დაე, წაიკითხონ ეს მიწსახკომის კადრების სექტორში და გვითხრან: ზოოტექნიკოსად უნდათ გამოიყენონ დავითიანი პარიკმახერად, ფოსტალიონად, მეჩაიედ თუ წითელი კუთხის გამგედ?!

ბერმან შუბიძე.

* * *

განვავითაროთ პლანერიზმი და საპარაშუტო საქმე

გუშინ 29 ოქტ. ა.-კ. სახკომსაბჭოში ა.-კ. სახკომსაბჭოს მოადგილის ამხ. პ. აღნიაშვილის კაბინეტში შესდგა თათბირი ამიერ-კავკასიაში საპლანერო, საპარაშუტო და ავიამოდელიზმის საქმის განვითარების შესახებ.

თათბირს დაესწრნენ ა.-კ. თავდა-ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ბიორბაძე, ა.კ. ა.ლ.კ.კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. გიორგობიანი, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის თავდაცვა-ავიაქიმის აეროკლუბების უფროსები, მფრინავები და სხვ.

თათბირზე გამოსულმა საქართველოს საპლანერო სკოლის უფროსმა და ა.-კ. მფრინავთა ინსპექტორმა ამხ. შ. ივინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღემდე ა.-კავკასიაში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა საპლანერო, საპარაშუტო და ავიო-მოდელიზმის განვითარების საქმეს, რომ ავიო-მოდელების დამზადება და პლანერებით ფრენა უბრალო გასართობ საქმედ ითვლებოდა. დღეს კი გადაჭრით დგას საკითხი ამ საქმის მაღალ საფეხურზე აყვანისა.

თათბირის დასასრულს ამხ. პ. აღნიაშვილმა შეაჯამა ამხანაგების სიტყვები, მოუწოდა მათ თავდაცვის საქმეში საუკეთესო მუშაობისკენ და ა.-კავკასიაში საპლანერო, საპარაშუტო და ავიომოდელიზმის განვითარებისათვის სამაგალითოდ ბრძოლისაკენ.

აკ. ჭოჭუა

განახლებული ხირსა

შევეჩვიეთ მშენებლობისა და აღორძინების უჩვეულო ტემპებს. ამიტომაც კახეთის სოფლებში ახლა აღარავის აკვირვებს ტრაქტორთა კოლონები, შირაქისა და ალაზნის ველის ხორბლეულის ზღვაში დრედნოუტებივით მიმავალი კომბაინები, ელექტრონი ქიზიყსა და ტარიბანაში, ავტოების გაბმული წყება თამარის ციხის ფერდობებზე.

აი ალაზანიც, საუკუნეების განმავლობაში კობახჩისა და სამუხის ბოლოსაკენ უქმად რომ მიიზლაზნებოდა, ქიზიყსა და შიდაკახეთის სოფლებამდე ამოწეულა და სოციალიზმის სამსახურში ჩამდგარა.

პანკისის ხეობიდან მოყოლებული ვიდრე ციხიანთ-ყურემდი ალაზნის არხი რეცხავს შამბიან ნიადაგებს, რწყავს საუკუნოებით გაუტეხავ ყამირებს და უხვი მოსავლის ბარაქით ავსებს კოლმეურნეთა ბეღლებს, მარნებს.

აი, ხირსაც, ძველი სავაჭირო...

თემური მიწათმფლობელობის დროს ეს უდაბური ადგილები ვაჭრელ გლეხებს ეკუთვნოდათ.

დროთა ვითარებაში ვაჭირელები ხირსიდან აყრილან და სიღნაღის შემოგარენში დასახლებულან.

ხირსელების გადასახლება ახლა აღარავის ახსოვს, მაგრამ რომელ ვაჭირელსაც არ ჰკითხოთ, ყველა გიპასუხებთ:

— ჩვენი ძველები ხირსიდან ავი მალარიისა და უწყლობის გამო აყარნენო.

საუკუნეების განმავლობაში არავინ მიეკარებია ძველ ხირსის არეებს და ეს ადგილები გაუვალ ჯუნგლებად ქცეულა, რომელსაც მხოლოდ ტურები და ნადირი აფარებდენ თავს.

ახლა უდაბურ ხირსის ფერდობსა და ველებშიც ჰყვავის სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურა და [illegible] აკვირვებს.

1933 წელს ხირსაში დადგა პირველი კარავი და აღმართეს გიგანტური მშენებლობის ხარაჩოები.

მარშანწინ დაჭკრეს პირველი ბარი ხირსის ყამირებს.

საუკუნეობით გაუტეხავ ნიადაგზე ჩვენში ბევრი საბჭოთა მეურნეობა გაჩენდა და შენდება. ნარაზენის და ჯოლეჯიანის ჭალნარში, აჭიგვარის ფერდობებზე და ოჩხამურის ჭაობებში, სრულიად ცარიელ ადგილას ამჟამად ჩაის პლანტაციების და ძვირფასი სუბტროპიკების საბჭოთა მეურნეობებია გაჩიმული.

საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ და მისი ტექნიკური შეიარაღების უმაგალითო გაძლიერებამ შესაძლებელი გახადა იმ ადგილების გატეხა და ათვისება, რომლებსაც საშუალო საუკუნეების კავი და გუთანი არ მიეკარებოდა.

და მართლაც, თუ არა საბჭოთა ხელისუფლება და ჩელიაბინსკის მუხლუხოვანი ტრაქტორი, ვინ იფიქრებდა ხირსის ძეძვიანი და შამბიანი ნიადაგის გატეხას, ვინ იფიქრებდა ამ ქვეწარმავალისა და ქიმურის საბუდართა გადაქცევას ვენახის და მშრალი სუბტროპიკების ხილეულთა ბაღად!

○

საქართველოს სოფლის მეურნეობების მშენებლობის ისტორიაში ხირსა უსათუოდ საპატიო ადგილს დაიჭერს. ხირსის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელთა და მთელი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ღირსეულად, კეთილსინდისიერად ასრულებენ ბელადის მოწოდებას ყველა საბჭოთა მეურნეობის რენტაბელურად გადაქცევის შესახებ.

ხირსის საბჭოთა მეურნეობა ჯერჯერობით მშენებლობის პროცესშია და მისი ხელმძღვანელები სწორედ აქ გვაძლევენ ბოლშევიკური ორგანიზატორობის ნიმუშებს.

○

ისეთი ნიადაგის საგინახოდ გადაბრუნებას, როგორიც ხირსაშია, უამრავი მუშა-ხელი და თანხები სჭირდება. მაგალითად, თუ საგინახე ადგილების პლანტაჟი ჩვეულებრივ ხელით იწარმოება, მაშინ ერთი ჰექტარის გადაბრუნებას აქ დასჭირდება 1100 კაცდღე. მუშა-ხელთან ერთად სხვა ხარჯების მიმატებით ერთი ჰექტარის მომზადება სავენახედ უნდა დამჯდარიყო 8000 მანეთი.

ხირსის საბჭოთა მეურნეობაში კი თავიდანვე კურსი აიღეს ნიადაგის მომზადების მექანიზაციაზე. აქ „საკის" სისტემის ღრმადმხვნელი გუთანი გადააკეთეს ხირსის ნიადაგის პირობების მიხედვით და პლანტაჟის საქმე ისე მოაწყეს, რომ ერთი ჰექტარის მომზადებას სჭირდება 60 კაცდღე 1100-ის ნაცვლად, — ფულად გამოხატულებაში კი 1200 მანეთი 8000 მანეთის ნაცვლად.

მუხლუხოვან ტრაქტორზე საპლანტაჟე გუთანი ისე დამაგრებული, რომ წინასწარ საჭირო არ არის ნიადაგის გაწმენდა ჩირგვებისა და ძეძვისაგან. ტრაქტორი ძეძვიანად აბრუნებს მიწას.

მას შემდეგ, რაც მავნებელი ფილოქსერა საქართველოს ვენახებს მოედო, მევენახეობის განვითარების ამოცანას სწყვეტს ამერიკულ ლერწზე დამყნილ სანერგე ბაზის შექმნა.

ეს აქ კარგად გაითვალისწინეს. ხირსის საბჭოთა მეურნეობას ახლა უკვე მზად აქვს ამერიკული ლერწის სადედე 18 ჰექტარზე. საკუთარი სადედეებიდან ისინი წელიწადში ნახევარ მილიონ მეტრამდე ლერწს იღებენ.

აქვთ აგრეთვე საუკეთესო სათბური, სადაც წლიურად ერთ მილიონამდე ნამყენი ვაზი გამოჰყავთ.

ხირსის საბჭოთა მეურნეობა ყოველწლიურად ათეულ ჰექტარზე ახალ ვენახებს აშენებს საკუთარ სათბურში დამზადებული ნერგებით და ამავე დროს მეზობელ კოლმეურნეობებს ნახევარ მილიონზე მეტ ნერგს აწვდის.

თითქოს წვრილმანია, მაგრამ საჭიროა ითქვას: კახეთის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც ხირსის მეურნეობაზე 5—6 წლით ადრეა დაარსებული, ხირსის საბჭოთა მეურნეობიდან მიაქვთ არა მარტო ვენახის ნერგი, არამედ ბაღისა და ბოსტნეულის თესლიც.

საბოლოო ანგარიშით ხირსის საბჭოთა მეურნეობაში მარტო ვენახი გაშენებულია ათას ჰექტარზე. ამლანდელი მტკიცე ფასით თუ ვიანგარიშებთ, ხირსის მეურნეობა სახელმწიფოს ყოველწლიურად მისცემს 14 მილიონი მანეთის მარტო ყურძენს.

კახეთში განთქმული რქაწითელის და საფერავის გარდა, ხირსაში არის ვენახის ისეთი საუკეთესო ჯიშები, როგორიცაა სუფრის მშვენება — განჯური თავრიზი, სპარსული მიმრანჯი, შუაზის კატაკურგანი, რომლისგანაც საექსპორტო ქიშმიში მზადდება, ფრანგული მუსკატი, არამონი და კიდევ მრავალი სხვა.

○

ხირსა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაა, მაგრამ, გარდა ვენახისა, აქ უკვე გაშენებულია და ახლაც დიდი მასშტაბით შენდება მთელი რიგი სხვა კულტურები, განსაკუთრებით ხეხილი.

ხირსაში თქვენ ნახავთ მშრალი სუბტროპიკების ისეთ იშვიათობას, როგორიც არის ნუში, ფისტა, ზეთისხილი, ხურმა.

კურკოვანი ხეხილიდან აქ ყურადღებას იქცევს ატამი, ბალი, ქლიავი, ჰერამი, გარგარი.

ხეხილის ბაღი ხირსაში დაიჭერს 35 ჰექტარზე მეტ ფართობს.

ეს საქმე (მეხილეობა) დაიწყო სანერგეების გაშენებით. ამჟამად ხირსის საბჭოთა მეურნეობას სხვადასხვა ძვირფასი ხეხილის იმდენი სანერგე აქვს, რომ იგი მიაქვს არა მარტო ხილნარს, არამედ მეზობელი რაიონების კოლმეურნეობებსაც. წელს ხირსის მეურნეობამ კოლმეურნეობებს გადასცა 1200 ძირამდე მარტო ნუშის ნერგი.

გარდა ვენახისა და ხეხილის ბაღისა, უკვე მოწყობილია დეკორატიული მცენარეების იშვიათი პარკი.

ხირსაში ახლა მშვენივრად ჰყვავის აფრიკის — ბანანი, სამხრეთ ამერიკის მაგნოლია, ქაფურისა და პრობკის ხე, დაფნა, წყავი, წიწვიანი კედრი, ელვესი, დრაცენა, მუდმივ მწვანე მუხები, აკაციის ტყე, ხამეროპსი, ტუნგო, ევკალიპტი — სულ 80-ზე მეტი დეკორატიული მცენარე, რომელთა სამშობლოდ შორეული ალჟირი და ცეილონი ითვლება.

○

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ განდიდების ქათინაურები ვუთხრათ ვისმე... და აქ თუ ხირსის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელთა თაოსნობის, ინიციატივის და უნარიანი მუშაობის შესახებ ვწერთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დავეხმაროთ ჩვენს საბჭოთა მეურნეობებს გაიტაცონ და გამოიყენონ ხირსის საბჭოთა მეურნეობის მშენებელთა ყოველმხრივ სასარგებლო გამოცდილება.

სულ მესამე წელიწადია ხირსაში ახალი მშენებლობა დაიწყო და აქ საბჭოთა მეურნეობას უკვე აქვს პროდუქტული პირუტყვის შერეული ფერმა 1500 ცხვრით, 200 მეტი ღორით და 50-მდე ძროხით. გარდა ამისა, აქ ენერგიულად მოუკიდიათ ხელი შინაური ფრინველის მოშენებისათვის. მეურნეობას ამჟამად ყავს 300-მდე მარტო ინდაური.

ყველა სახის პირუტყვისათვის საუკეთესო ბინებია მოწყობილი, ხოლო რაც შეეხება საკვებს, მიუხედავად გვალვებისა, ეს მათ იმდენი შეუგროვებიათ, რომ წელს საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ გაჰყიდიან 40.000 მანეთის მარტო თივას.

[illegible] საბჭოთა მეურნეობის ბაღთა-ბოსტანი წელს 60 ჰექტარამდე აღწევდა.

მეურნეობის მუშათა მომარაგების განყოფილებას ადგილობრივ მოყვანილი ბოსტნეულიდან დამზადებული აქვს მთელი წლის სამყოფი ტომატი, სხვადასხვა სახის წნილები, ლობიო, ხახვი, კომბოსტო, ქარხალი.

გარდა ამისა, ხირსის საბჭოთა მეურნეობამ წელს სახელმწიფოს ჩააბარა 250 ტონა ბოსტნეული და ამით თავის სალაროს შემატა 75 ათასი მანეთზე მეტი „მოულოდნელი" შემოსავალი.

დეკორატიული მცენარეების, ვენახის და ხილეულის ნერგების რეალიზაციიდან მეურნეობა წელს აიღებს არა ნაკლებ 210 ათასი მანეთისა.

მეურნეობას აქვს საკუთარი სახერხი ქარხანა, სააგურე, საკრამიტე, საკირე, [illegible]. ყველა ამ წარმოებიდან მეურნეობა თავისი გიგანტური მშენებლობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და მეზობელ კოლმეურნეობებსაც აწვდის იაფფასიან საშენ მასალას.

მუშების ძირითადი მასა უკვე გადაყვანილია საკუთარ ბინებში.

როგორც წესი, ყველა საბჭოთა მეურნეობას გამოყოფილი ჰყავს ორი-სამი კაცი სპეციალურად მუშახელის შესაგროვებლად („ვერბოვშჩიკები"). ხირსაშიც იყვნენ ასეთები, მაგრამ ზედმეტი აღმოჩნდნენ. ვინაიდან მეურნეობაში საუკეთესო პირობებია შექმნილი და მუშები და მეზობელი კოლმეურნეობების წევრები „უვერბოვშჩიკებოდ" მოდიან და დირექციას სამუშაოს სთხოვენ.

კადრებზე გულისხმიერი ზრუნვის შედეგად აქ თანდათან იზრდება წარჩინებულ ადამიანთა რიცხვი და მასობრივ ხასიათს ღებულობს სტახანოვური მოძრაობა. მათე შათირიშვილი, გიორგი ფურცელაძე, აკაკი ხუციშვილი და სოსო კოკილაშვილი — აი საქმისათვის თავდადებული ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც გამომგონებლობას, რაციონალიზაციას და ტექნიკური აზრის [illegible] საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივი გამსჭვალულია ერთი მიზნით: — ბოლომდე გარდაქმნან უდაბური ხირსა, შექმნან იქ მევენახეობის გიგანტური საბჭოთა მეურნეობა და გადააქციონ იგი მძლავრი სოციალისტური მიწათმოქმედების ნამდვილ სკოლად.

○

ხირსის საბჭოთა მეურნეობის დირექცია, რასაკვირველია, არავითარ ზებუნებრივ სასწაულს არ ახდენს. იმ წარმატებების მთელი „საიდუმლოება", რომელიც ხირსას აქვს, იმაში მდგომარეობს, რომ აქ ბოლშევიკურად რაზმავენ ადამიანებს და, რაც მთავარია, მოხერხებულად, უნარიანად იყენებენ ადგილობრივ შესაძლებლობებსა და რესურსებს.

საბჭოთა მეურნეობის წამყვან კულტურას — ვენახს ჯერ მოსავალი არ მოუცია და მეურნეობა უკვე იძლევა უდოტაციოდ, რენტაბელურად მუშაობის საუკეთესო მაგალითებს.

ხირსის საბჭოთა მეურნეობის დირექციის და პირადად მისი ხელმძღვანელის ამხ. ალ. ბაიდოშვილის უნარიანობა გვიჩვენებს, თუ უძნელეს პირობებში რისი გაკეთება შეუძლიათ ბოლშევიკებს.

ხირსა წინათ ვერან ხროკსა და ხორშაკიან უდაბნოს წარმოადგენდა.

ამიერიდან იგი არის ოქროს ვაზის, ძვირფასი ხეხილისა და სურნელოვანი მაგნოლიების თვალუწვდენელი ბაღი.

ხირსაში [illegible]

ზ. ფურცხვანიძე.

ფოტო-აპარატით სტახანოველებთან

ვინ არის მირდათ აკოფოვი?

რატომაა, რომ 26 კომუნარის სახელობის ქარხნის ყოველი მუშა დღეს ამ ახალგაზრდაზე ლაპარაკობს?

ყველას, ყველას უნდა გაიგოს ამ კომკავშირელის მიერ ტექნიკის დაუფლების საიდუმლოება...

1 მირდათი ამზადებს დეტალებს მესამე კვარტალის დამლევისათვის. მან დაამზადა 600 კომპლექტი 240ს დეტალი.

2 მირდათს, როგორც საუკეთესო მუშას, დამკვრელს და სახელოვან სტახანოველს, ქარხანამ ბინა მისცა ახალ სახლებში.

3 აი, დაბრუნდა ქარხნიდან მირდათი ზის ნათელ ოთახში და ემზადება პოლიტწრისათვის...

4 მისი ცოლი მანია თავის მეზობელს წერა-კითხვას ასწავლის.

5 ქალს ჯერ ორი თვის არაა, მაგრამ ისე არ დაიძინებს თუ ოთახში პატეფონის ხმა არ ისმის.

6 ყველაფერი მზადაა, ბავშვებს სძინავთ, მანიამ ესაა მიალაგა ოთახი ზის და ამღერებს ხან ფანდურზე, ხან მანდოლინაზე...

7 ცელქმა ნორიკამ თითქოს სიზმარში ნახაო, როგორც კი ადგა ყურძენი მოითხოვა, მაგრამ დედა ჯერ საუზმით გაუმასპინძლდა, ახლა ყურძენს შეექცევა.



8 რა მხიარულია დღეს მანია! ქმარმა უკვე მოიტანა მის მიერ [illegible] ნაწილები, მოარგო [illegible] და მოჩუხჩუხებს წყალი. [illegible] ფირისაბანი. ლამაზი.—ამბობს იგი და იგონებს წარსულ დღეებს, უბინაობას, ტახტებს და განაწამებს..

დღეს რა აქვს სადარდელი მირდათის ოჯახს: ავეჯეულობა, საწოლები, ნათელი ოთახი, გასართობები, სიცოცხლით სავსე ბავშვები, თვეში საშუალოდ 600—800 მანეთი შემოსავალი..

„ძველი სასაფლაოების სამარხი ქვები

ტფილისის ძველი სასაფლაოების ზოგიერთი სამარხის ძეგლები დაცვისა და შესწავლის ღირსია.

ამ ძეგლების ნაწიბურები ნაზი, სტილური ორნამენტითაა შესრულებული; ხოლო ზედაპირის შუაგულში ამოკვეთილია კაცისა ან ქალის სურათ-ქანდაკება, სათანადო ტანსაცმელით, ხშირად გარდაცვლილის საქმიანობის გამომხატველი სამკაულით და ხელსაწყოთი.

ყურადღებას იქცევს გრანიტის მასივების გამოთლის საუკეთესო ტექნიკა და ბარელიეფების დიდი ოსტატობით შესრულება.

ქვაზე ქანდაკების ქართული ტექნიკა სრულებით შეუსწავლელია. ამ მხრივ ძველი ძეგლებ-ფიქალები საინტერესო განძს წარმოადგენენ.

უმრავლესობა სამარხის ძეგლებისა შემკულია მოხდენილად ამოკვეთილი წარწერებით, რომელნიც პირველი შეხედვით ორნამენტს ჰგვანან. ეს წარწერები ჩვენი გრაფიკოსებისათვის საინტერესო მასალას წარმოადგენს.

ძეგლების ეპიტაფიები გვამცნობენ ძველ ტფილისის ზნე-ჩვეულებებს. წარწერები გვხვდება ლექსადაც, რაც ფოლკლორისტებისათვის მნიშვნელობას არაა მოკლებული.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ყოფ. ხოჯა-ვანქის სასაფლაოზე, თუმცა იგი სომხური იყო, ძეგლებზე წარწერები უმრავლეს შემთხვევაში ქართულადაა შესრულებული.

სამწუხაროდ, დღემდე ამ ქვების შესასწავლად ძალიან ცოტაა გაკეთებული. ძველი ვერის, კათოლიკეთა და პეტრე-პავლეს სასაფლაოებიდან ერთი ქვაც არ შეუნახავთ. ყოფილ ხოჯა-ვანქის სასაფლაოზე კომუნალური მუზეუმის ინიციატივით სწარმოებს ძეგლების შერჩევა და აღრიცხვა, მაგრამ სახსრების სიმცირის გამო ეს საქმე ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამასთანავე შერჩევას აწარმოებენ ცალმხრივად, მარტო ტანსაცმელის შესწავლის თვალსაზრისით, მაგრამ ეს არა კმარა.

საჭიროა ტფილისის საბჭომ გაიღოს სათანადო თანხა და მუზეუმს დაავალოს ისტორიული, ეთნოგრაფიული და მხატვრული მნიშვნელობის ძეგლების გამოყოფა და დაცვა. ასეთი ქვები უნდა დაგროვდეს ერთ ადგილას და ხელმისაწვდომი გახდეს ყველა მკვლევარისათვის.

ზ. მაისურაძე.

□

ჯიუტი დირექტორი

ხუთი წელია მწოლიარე ავადმყოფი ვარ. მოკვეთილი მაქვს ორთავე ფეხი. ამჟამად ხელებიც მტკივა. ამ ავადმყოფობასთან ერთად დამერთო კბილის ტკივილი.

რაიონული ექიმების მიერ მიღებულმა ზომებმა ვერ მიშველა. მივმართე ბათუმის ქალაქის ცენტრალურ ამბულატორიის დირექტორს ექიმ გოგოშვილს ჩემთვის გამოეგზავნა კბილის ექიმი. მდგომარეობის ახსნა განმარტების შემდეგ შემპირდა, რომ ის ნამდვილად გამომიგზავნიდა ბინაზე კბილის ექიმს.

მოლოდინი არ გამართლდა ექიმი არ გამოგზავნა. ჩემი ძმის საშუალებით ტელეფონით ისევ მოვაგონე დაპირების შესახებ, მაგრამ ამ საკითხზე ლაპარაკიც კი არ ისურვა. ყოველივე ეს ეცნობა აჭარისტანის ჯანსახკომს ამხ ფალავას. მან გამოიძახა გოგოშვილი თავის კაბინეტში, დაგმო მისი საქციელი და მოსთხოვა სათანადო ახსნა-განმარტება. დირექტორმა თავი იმართლა — რაიონული ამბულატორიის მომართვა არ იყოო, ეს იმ დროს, როდესაც მან ბინაზე საექიმო დახმარება შუამდგომლობის გარეშე აღმითქვა.

მიუხედავად კომისრის დავალებისა გოგოშვილმა ამის შემდეგაც არ გამომიგზავნა ექიმი. რამდენიმე დღის შემდეგ ამბულატორიას გაუგზავნეს რაიონული ექიმის შუამდგომლობა, მაგრამ ექიმის გამოგზავნის ნაცვლად თვით შუამდგომლობის ქაღალდზე ასეთი რეზოლუცია —[illegible]— გოგოშვილმა თავის თანამშრომელს: „დირექტორის განკარგულებით კბილის ექიმი ავადმყოფს ბინაზე დახმარებას არ უწევს და შეგიძლიათ ეტლით მოიყვანოთო“.

კბილის ტკივილსა და უფეხობასთან ერთად მაქვს კატარალური ანგინაც. მე ვარ პენსიონერი ჩემს მიყვანას იქ 2 კაცი და ეტლი სჭირია. ამის საშუალება, ხუთი წლის ავადმყოფობის შედეგად, არ გამაჩნია.

განა დასაშვებია „საბჭოთა“ ექიმის გოგოშვილის მხრივ ჩემდამი ასეთი ყოვლად უდიერი, უგულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულება?

ბენედიქტე ცინცაძე.

□ □ □ □

სრულიად საქ. ცაკის და საქ. სსრ სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 166^1 მუხლის დამატების შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის კოდექსების დამატების შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის ივლისის 29-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ-ის კან. კრ. 1935 წ. 41 №-ი, მუხ. 344), — სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 166^1 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„166^1. მეურვეობის გამოყენება ანგარების მიზნით (საცხოვრებელი ფართობის დაჭერა, მშობლების გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონების გამოყენება და სხვ.) და მეურვეობაში მყოფი ბავშვების ზედამხედველობისა და საჭირო მატერიალური დახმარების გარეშე დატოვება — ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. ჟღენტი**

1935 წ. ოქტომბრის 16
№ 84-1433-ა

ვაჟა-ფშაველას საღამო

ამხ. ბერიას სახ. ქარხანაში

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 20 წლის აღსანიშნავი საღამოები დიდი წარმატებით და ინტერესით ტარდება.

მოწინავე ქარხნების მუშები, ჩაბმულნი სტახანოურ მოძრაობაში, დიდი გულისხმიერებით ეცნობიან ვაჟას შემოქმედებას.

ამ მხრივ მაგალითი ამხ. ბერიას სახ. ვაგონების შემკეთებელმა ქარხანამ მოგვცა. 28 ოქტომბერს იქ ჩატარდა ვაჟას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა ს. წვერავა.

შემდეგ ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ბეს. ჟღენტი, რომელიც ფართოდ შეეხო ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობას ქართული ლიტერატურის ფრონტზე, დაწვრილებით დაახასიათა ვაჟას ზოგიერთი ნაწერი და ვაჟას ადგილი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. საკუთარი მოგონება ვაჟაზე ლექსათ წაიკითხა ილო მოსაშვილმა.

ვაჟას ლექსი „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ წაიკითხა ირაკლი აბაშიძემ. თავისი ლექსი „ვაჟა და ფიროსმანი“ წაიკითხა ვალერიან გაფრინდაშვილმა. ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა ალ. შანიძემ.

აღტაცებით შეეგებნენ მუშები იოსებ გრიშაშვილის გამოსვლას, რომელმაც მოხდენილად წაიკითხა ვაჟასა და საკუთარი ლექსები.

მეტად საინტერესო იყო მუშების: ტიტე ჯვარშვილის, დიმიტრი თეთრაძის და მარო აფციაურის გამოსვლა. მათ განაცხადეს, რომ მუშები ხარბათ ეწაფებიან მხატვრული ლიტერატურის შესწავლას.

□

ახალი აბანოს მიღება

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გამოჰყო სპეციალური კომისია ვერის ახალი აბანოს მისაღებად. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას, რომელიც მან უნდა დაამთავროს უახლოეს სამ დღეში.

აბანოს გახსნამდე წყალკანალტრესტს დავალებული აქვს შეამოწმოს აბანოსათვის წყლის მიმწოდებელი წყალსადენის მილების მდგომარეობა, რომ შემდეგ წყლის მიწოდებას არაფერი დაბრკოლება არ გადაეღობოს.

აბანოს გახსნა მოხდება ოქტომბრის რევოლუციის მე-18 წლისთავის დღესასწაულის აღსანიშნავად.

□

გაჯის ახალი ქარხანა

გაჯის ახალი მექანიზებული ქარხანა, რომელიც ააგო ტფილისის საბჭოს საშენ მასალათა ტრესტმა, უკვე მზად არის ასამუშავებლად. ამჟამად ქარხანაში აწყობენ ხანძრის საწინააღმდეგო [illegible], რის შემდეგაც იგი ამუშავდება საცდელად.

გაჯის გამოსაწვავად ქარხანაში დადგმულია ახალი კონსტრუქციის ღუმელი.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ქარხანა ამუშავდება 5 ნოემბრიდან.

ახალი სანაპირო ქუჩა

დამთავრდა ტფილისის ახალი სანაპირო ქუჩის კეთილმოწყობა. მოძრაობის გახსნა გათვალისწინებულია ოქტომბრის 18 წლისთავის დღესასწაულებისათვის. სურათზე: გამწვანებული ქუჩის ერთ-ერთი კუთხე.

□ □ □ □ □ □ □ □

სამკურნალო ინსტიტუტი ტფილისში

ყურის, ცხვირის, ყელის და მეტყველების დაავადებასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ აუცილებლად სცნო ოტო-რინო-ლარინგოლოგიური ინსტიტუტის დაარსება საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან. ინსტიტუტმა თავისი მუშაობით მომსახურება უნდა გაუწიოს აზერბეიჯანსა და სომხეთსაც.

ინსტიტუტის დირექტორად დანიშნულია ექ. ბოფერია.

□

ასფალტი ფოთის ქუჩებზე

ფოთში ლენინის პროსპექტზე დაიწყო ასფალტის დაგება. ეს ქუჩა (13.000 კვ. მეტრი), რომელიც ქალაქს აერთებს ნავთსადგურთან, მოასფალტებული იქნება 7 ნოემბრის დღესასწაულისათვის.

წელს უნდა მოასფალტდეს აგრეთვე რუსთაველის ქუჩა. მუშაობა დაკვრითი წესით წარმოებს. ასფალტის დაგებას ხელმძღვანელობს ინჟ. ნიკურაძე.

მალე ფოთს ექნება მოასფალტებული, ციტრუსებით გამწვანებული და ყოველმხრივ კეთილმოწყობილი ქუჩები (საქ. კორ.).

საზოგადოებრივი სარგებლობის გარაჟი

ავტომრეწველობის გაზრდისა და ტფილისში ავტოსარემონტო ქარხნის ამუშავებასთან დაკავშირებით, ახლა გაადვილებულია მშრომელებისათვის ავტომობილების შეძენა ინდივიდუალური სარგებლობისათვის. ამჟამად ტფილისში ინდივიდუალური სარგებლობის ავტომობილთა რიცხვი ასამდე აღწევს.

მშრომელთათვის ავტომობილების შეძენის გასაადვილებლად გადაწყვეტილია ტფილისში ააგონ საზოგადოებრივი სარგებლობის გარაჟი 300 მანქანისათვის. გარაჟში მიიღებენ მანქანებს შესანახად. ავტომობილის პატრონს ექნება, გარაჟის იმ განყოფილების გასაღები, სადაც მისი მანქანა სდგას და საჭიროების დროს მას საშუალება ექნება ეს მანქანა წაიყვანოს და კვლავ გარაჟში დააბრუნოს.

გარაჟის ასაგებად ადგილის შერჩევა დავალებული აქვს სპეციალურ კომისიას.

□

„ვეფხვის ტყაოსანი“ სომხურ ენაზე

ერევანი, 29 ოქტომბერი. გევორქ ასატურმა დაამთავრა საქართველოს უდიდესი პოეტის შოთა რუსთაველის პოემის — „ვეფხვის ტყაოსნის“ თარგმნა.

თარგმანს რედაქტორობს პოეტი ელიშე ჩარენცი. წიგნს გამოსცემს სომხეთის სახელგამი. წიგნი მალე გადაეცემა სტამბას დასაბეჭდად.

მეცნიერული მუშაკები მარჯანიშვილის თეატრში

28 ოქტომბერს მარჯანიშვილის თეატრს ეწვივნენ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რუსთველის ინსტიტუტის პროფესორები და მეცნიერი მუშაკები: უნივერსიტეტის რექტორი პროფ. კარლო ორაგველიძე, რუსთველის სახ. ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ა. დუდუჩავა, ლიტერატურული ფაკულტეტის დეკანი ბენიტო ბუაჩიძე და პროფესორები: ვუკოლ ბერიძე, იუსტინე აბულაძე, სარგის კაკაბაძე, დოცენტები: კ. კაპანელი, ალ. ბარამიძე, ს. იორდანიშვილი, ყიფშიძე, ილია აბულაძე, ვლ. ასათიანი და სხვ.

თეატრმა სტუმრებს უჩვენა პრემიერა „ჩატეხილი ხიდი“ მესამე მოქმედების შემდეგ სტუმრები მიიპატიჟეს აქტიორთა ფოიეში, სადაც მათ სიტყვით მიმართა თეატრის ხელმძღვანელმა დამსახ. არტისტმა დოდო ანთაძემ, რომელმაც აღნიშნა თეატრის კოლექტივის და მეცნიერი მუშაკების შეთანხმებული მუშაობის დიდი მნიშვნელობა.

ამხ. ალ. დუდუჩავამ აღნიშნა: ეს პირველი ნაბიჯი თეატრის განვითარების ახალი ეტაპისათვის მეტად მნიშვნელოვანია, იგი გვიჩვენებს, თუ როგორ სწორად ატარებს და ახორციელებს პარტიის მითითებას და დადგენილებას თეატრის განახლებული ხელმძღვანელობა. უნივერსიტეტი ნოემბრის შუა რიცხვებში მოაწყობს დისკუსიას „ჩატეხილი ხიდის“ გარშემო, ამ დისკუსიაში ჩაბმული იქნება ჩვენი საუკეთესო სამეცნიერო ძალები, რითაც, ვფიქრობთ, თეატრს და მაყურებელს დიდათ დავეხმარებით. რუსთაველის ინსტიტუტმა გადასწყვიტა მოიწვიოს ერთ-ერთი თავისი სამეცნიერო სესია თქვენი თეატრის კედლებში. ამ სესიაზე განხილული იქნება საბჭოთა დრამატურგიის სპექტაკლის ენობრივი გაფორმების, დრამატიულ მონტაჟის და სხვა პრობლემები, რომელნიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედებასთან და მოითხოვენ მეცნიერულ შესწავლას და გაშუქებას.

უნივერსიტეტის ლიტ. ფაკულტეტის დეკანმა—ბენიტო ბუაჩიძემ აღნიშნა, რომ თეატრის დაახლოვების საკითხი მეცნიერებასთან უთუოდ დროულია და მისასალმებელია. უნივერსიტეტი სიხარულით ეგებება თეატრის წინადადებას და იმედს იძლევა: უახლოეს დროში თეატრის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად ჩვენ გამოვიმუშავებთ თეატრისა და უნივერსიტეტის ურთიერთთან თანამშრომლობის კონკრეტულ გეგმას.

შალვა დადიანმა ილაპარაკა მეცნიერების და თეატრის თანამშრომლობაზე. მარჯანიშვილის თეატრის ინიციატივა უთუოდ დროული და მისასალმებელია. ჩვენ ველით მეცნიერების და თეატრის მუშაკთა თანამშრომლობის შედეგებს, რაც უახლოეს დროში უნდა გამომჟღავნდეს სპექტაკლების მხატვრული ხარისხის კიდევ უფრო მაღალ დონეზე დაყენებით.

შეხვედრას დაესწრო ილია ჭავჭავაძის თანამედროვე, მხცოვანი ქალი მწერალი ეკატერინე გაბაშვილი.

ამ დღეებში უნივერსიტეტის რექტორისა და რუსთველის ინსტიტუტის დირექტორს ეწვევიან თეატრის ხელმძღვანელი მუშაკები თანამშრომლობის კონკრეტული პროგრამის გამოსამუშავებლად.

დამსწრე.

□

„ჩვენი თაობა“ № 2

დაიბეჭდა და გამოვიდა ჟურნალი „ჩვენი თაობის“ № 2, სადაც მოთავსებულია ჯაბუშანური — „ცხენი“, ა. [illegible]—„იშრიალეთ, ხეებო“, ი მოსაშვილი—„საღამო დვინაზე“, პ. ჩხიკვაძე—„მამა ნაფიცი“, ნ. ფხაკაძე — „როს მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადის სტალინი“, ვ. გაბესკირია—„პალიასტომთან“, კ. ნადირაძე „განახლებულ ქუთაისს“, ვ. ავალიანი —„[illegible]“, დ. შენგელაია—„[illegible] ომში დაღუპულ ბიძას“, დ. გაჩეჩილაძე — „ორი სამშობლო“, მ. გვასალია—„სურამი“.

ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე ა. [illegible]შვილის, შ. პანფეროვის, ა. ჭეიშვილის და ა. აკანელის კრიტიკული წერილები სსრკ ხალხთა ლიტერატურის განყოფილება, ქრონიკა და ინფორმაცია. ჟურნალი საუკეთესოდ არის ილუსტრირებული და დაბეჭდილია პირველხარისხოვან ქაღალდზე. ჟურნალი ღირს 2 მანეთი და იყიდება ყველა კიოსკში.

სკოლებში სტახანოვური მუშაობის დანერგვისათვის

სტახანოვურად მუშაობა საბჭოთა სახ. მასწავლებლის საბრძოლო ამოცანაა.

ამ მიზანს ემსახურებოდა 28 ოქტომბერს ტფილისის „26 კომუნარის სახელობის“ რაიონის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა შეკრება.

შეკრებას განათლების განყოფილების ინსტრუქტორმა ამხ. მ. [illegible] გააცნო ის მეთოდები და ამოცანები, რომლებიც საჭიროა ჩვენს სკოლებში სტახანოვური მუშაობის დანერგვისათვის. შეკრება გაეცნო აგრეთვე მოსკოვის ძერჟინსკის რაიონის მეორე სანიმუშო სკოლის მუშაკთა წერილს მუშაობის სტახანოვური მეთოდების ჩვენს სკოლებში გადატანის შესახებ.

კამათში გამოსული მასწავლებლები (ალ. ბარიძე, ო. შანშილია, ნ. დეკანოზიშვილი, ს. მელნიკოვი, არ. მაილიანი და სხვ.). აღნიშნავდნენ: საჭიროა ყველა სკოლის მუშაკი ფართოდ გამოეხმაუროს მოსკოვის მეორე სანიმუშო სკოლის მომართვას და შეისწავლოს მუშაობის იმ მეთოდების „საიდუმლოებანი“, რომლითაც ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწია დონბასელმა სტახანოვმა, გორკელმა მჭედელმა ბუსიგინმა, ბაქოელმა პარფანოვმა და სხვ.

შეკრების მონაწილეებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულება სკოლებში სტახანოვური მუშაობის მეთოდების გამოყენებისათვის.

□

ქრონიკა

— 31 ოქტომბერს საღამოს 8 ს. მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) საქ. საბჭოთა მწერლების დრამატურგთა სექციაში შესდგება ამხ. ან. [illegible]ლის მოხსენება „საბავშვო დრამატურგიის პრობლემები“. თავმჯდომარეობს: რესპუბლიკის სახ. არტისტი შალვა დადიანი.

□

შემთხვევები

● ავარია. 19 თებერვლის ქუჩის შესახვევიდან მე-11 მარშრუტის ტრამვაის მომავალ ვაგონს დაეჯახა მე-12 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი (ვატმანი ა. ნ. ალექსეევა). ვაგონებს შუა მოჰყვა უცნობი მოქალაქე, რომელიც იქვე გარდაიცვალა. მის ვინაობას არკვევენ. ვატმანი ალექსეევა შეიპყრეს.

● უბედური შემთხვევა. ა.-კ. ფედერაციის მოედანზე მე-5 მარშრუტის ტრამვაის მომავალ ვაგონზე შეხტომის დროს მისაბმელი ვაგონის ქვეშ მოჰყვა მოქ. ნ. ა. ლოლობერიძე (ბელინსკის ქ. № 48), რომელსაც თვლებმა გადაჭრა ორივე ფეხი. დაშავებული მოთავსებულია საავადმყოფოში.

● მოჩხუბრები. სიმთვრალის დროს ჩხუბისა და სროლისათვის შეიპყრეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს პ. ს. კალანდაძე (პრესის ქ. 1), ს. პ. ჯაფარიძე (მოხრანის ქ. 11), [illegible] ა. ცინცაძე (იურიევის ქ. 31), კ. ბ. შერვაშიძე (სამტრესტის თანამშრომელი), პ. ე. მახარაძე (შერემეტევის ქ. 10), ა. გ. მოწონელიძე (ანტონოვის ქ. 2).

□

პარტკალენდარი

სტალინის რაიკომის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილება იუწყება, რომ 31 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე სტალინის რაიონის პარტკაბინეტში შესდგება ამხ. ანდრიაძის მოხსენება „ფაშიზმის რასიული თეორიისათვის“.

დასწრება სავალდებულოა ყველა პროპაგანდისტისა, აგიტატორისა და მსმენელისათვის.

◆ ◆ ◆

31 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობაში (ულიცკის ქ. 8) შესდგება კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის აქტივის კრება.

საქ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, საქ. ალკკ ცენტრ. კომიტეტისა და ტფილისის კომიტეტის წევრები კრებაზე შეიან თავიანთი მანდატებით, ხოლო დანარჩენი ამხანაგები — რაიკომების მიერ გაცემული ბილეთებით.

საქ. ალკკ ტფილისის კომიტეტი.

საქართველოს სახ. ოპერის და ბალეტის თეატრი	დღეს მე-8 აბონემენტის 1 წარმოდგენა	31 ოქტ. მე 9 აბონემენტ. მე 2 წარმოდგენა	1 ნოემბ. მე-11 აბონემენტ. მე 2 წარმოდგენა
	ჩიო-ჩიო-სან მონაწილეობენ: ილზა მოჟ ხილი, ე დოლგოვა, [illegible]	სიმფონიური კონცერტი ევგენი მიქელაძის დირიჟორობით მონაწილეობს [illegible] ბუბლიკოვა [illegible]	დაისი მონაწილეობენ ვ მალკოვა, ა. ხოჯაშვილი, ბ. მჟავანაძე, ა. ბეთხუ[illegible]

წარმოდგენების დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები და აბონემენტების გაყიდვა, აგრეთვე გადასახდელის მიღება სწარმოებს ყოველდღიურად დილით 11-დან 2 საათამდე, საღამოს 6-დან 9 საათამდე. მიიღება მეხამე მორიგი გადასახდელი ყველა აბონემენტზე

რუსთაველის სახ. თეატრი 1935—36 წლის სეზონი	დღეს მე-5 აბონ. 1 წარმ. [illegible] ბაზიფვარი ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეებისათვის	31 ნოემბერს მე-3 აბონ. 1 წარ შანშიაშვილის ანზორ	2 ნოემბერს მე-8 აბონ. 1 წარმ. შანშიაშვილის ანზორ

ვისაც მეორე გადასახდელი არ ექნება შეტანილი, მას წარმოდგენაზე არ შეუშვებენ. სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე

მარჯანიშვილის თეატრი

30 ოქტომბერს წარმოდგენა № 7	ვერაგობა და სიყვარული
1 ნოემბერს წარმოდგენა № 8	ჩატეხილი ხიდი
2 ნოემბერს წარმოდგენა № 9	ჩატეხილი ხიდი

დასაწყისი სა. 8 საათზე
ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11—2 საათ. საღ. 6—9 საათ.
40 ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან.

ამიერკავკასიის ... 7-30, 9-30, 10-30
ამხანაგი ... 8-30, 9, 9-30
... 9-30, 10-30
ლუქსემბურგის სახ 6-30, 9-30, 11
... 7-30, 9, 10-30
... 7, 8-30, 10
კომინტერნის სახ. 7-30, 9-30

სახ. ... ფილმი უკანასკნელი მასკარადი
დადგმა ორდენოსანი რეჟისორის მ. ჭიაურელისა
საზამთ —ხმოვ. სურათი საუცხოო ბაღი
სახაფხ.—მხატვრ. სურათი ზოგიერთი ნაცნობი
დადგმის მე-3 თვე ხმოვანი სურათი პეტრე პეტერი
ახალი ხმოვანი ფილმი „მცირე სადგურის ულისახრული
მხატვრ. ფილმი ა ლ ი მ ი
საზა თ —ხმოვ. ფილმი პ ე პ ო
სახაფხ.—მხატვრ. სურათი მდინარის ბალში
ხმოვანი ფილმი „ჩ ა პ ა ე ვ ი“

სტალინის რაიონის სახალხო სასამართლოს უფროსი აღმასრულებელი მ. მ. ჯანაშია ამით აცხადებს, რომ ა/ წ. 3 ნოემბერს, დღის 12 საათზე, ნინოშვილის ქ. № 4-ში მოქ. ლეონიდე ჯიბლაძის ბინაში

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება ერთი როიალი, შეფასებული 1730 მანეთად, „სოიუზ-უმსნაბ“-ის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. თანახმად სტალინის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ გაცემული აღსასრულებელი ფურცლისა № 2/131 1935 წლის 3 აგვისტოს თარიღით
413

ექიმი ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად.
იღებს: დილ. 8—9 ს. და საღ. 6—8 საათ.
ლესელიძის ქ. № 72. 9291

ტფილისის რ.-კ.-კ. პრეზიდიუმი, პარტორგანიზაცია და ადგილკომი თავისი სისტემაში შემავალი ყველა თანამშრომლით მწუხარებას გამოსთქვამენ რაიკავშირის ბუხჰალტერ ვალიკო კუბულაშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო. 11085

მეგობრები: გოგინაშვილი, ვოლდეიტი, შაქარაშვილი, ჩხიკვაძე, მამისაშვილი, კაზალიკაშვილი, დანილკევიჩი, რაჭველიშვილი, დათუნაშვილი, ჯანიაშვილი კაციტაძე დავსტირით საყვარელი მეგობრის ინდუსტრიული ტექნიკუმის მსმენელის ილუშა ჭრელიშვილის უდროოდ გარდაცვალებას. 11084

რუსთაველის თეატრის დირექცია, მსახიობები და მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამავე თეატრის მსახიობის გიორგი ბეჟუაშვილის დედის ბოგოცას გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში. 11082

ძმები ფუხალი, გიორგი, ვარლამი, მიშა, ელიზბარ დადიანები ცოლშვილით იუწყებიან ძვირფასი დის მატა კირილეს ასულ ლორთქიფანიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 1 ნოემბერს, 5 ს. მეორე საავადმყოფოდან. კამოს, 103. 11083

მეუღლე ოლისა, შვილები მიშა, სერგო, შუშანა, ნადია, ანიჩკა; სიძე ვლადიმერ გაბუნია შვილებით რევაზით და ლილით იუწყებიან რომ 2 ნოემბერს სამტრედიაში დანიშნულია გაბილ და ალექსანდრე ჟუჟარაძეების სამოქალაქო პანაშვიდი. 412

ამხ. ბერიას სახ. ფიზკულტურის ტექნიკუმის დირექცია, პედპერსონალი და სტუდენტობა გულითად მწუხარებას გამოსთქვამენ საუკეთესო მოწაფის და ამხანაგის, მეორე კურსის სტუდენტის ვახტანგ ალექსანდრეს-ძე სახვაძის გარდაცვალების გამო. 11077

ექიმები ვანო, ესტერ ლორთქიფანიძეები შვილებით იუწყებიან დედის მატარ კირილეს ასულ ლორთქიფანიძის გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. მე-2 საავადმყოფოში, კამოს ქ. 103, გამოსვენება იქიდანვე 1 ნოემბერს, 5 ს. 11075

მეგობრები ჯუღელი, ჰირაძე, მამაცაშვილი, ხუხუნი, ქირია, ფანცხავა, გოგოლაშვილი, კალანდარიშვილი, ჩირაძე, მხატვრიძე, კახელაძე იუწყებიან, რომ 30 ოქტომბერს 1 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია ილია შონიას სამოქალაქო პანაშვიდი. 11074

მამა კოსტა, მეუღლე ტატიანა შვილებით, დები საშა, მერი, ნინო, ძმები კოკოშა და ბოჩია იუწყებიან, რომ 3 ნოემბერს ქ. ცხაკაიაში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მიშა ხოფერიას ხსოვნის აღსანიშნავად.

შვილები იულია, კირა, გუგული, ტატიანა, გივი, ვახტანგი; სიძე შალვა გენძეხაძე, შვილიშვილი ცისანა, სიდედრი სალომე, ცოლისდა სონია სვანიძეები იუწყებიან, რომ 3 ნოემბერს დებაბზუში დანიშნულია ვიქტორ ლლონტის სამოქალაქო პანაშვიდი. 11078

მშობლები სპირიდონ, ლიდა, მამიდები: თამარ, ქეთო, ბიძა ლადო, ძიძა მარო, ბაბო, კატო, ძმები: ფირანი, ოთარი, და ქსენია ძლიერიშვილები იუწყებიან ილუშას გარდაცვალებას. დაკრძალვა მჭადიჯვარში 31 ოქტომბერს. 11075

ღრმად დამწუხრებულნი ვასიკო მეუღლით ზინაიდათი, დათიკო, კაკო, ეკატერინე, ქეთევან და თამარ კანდელაკები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი სიძის ნიკოლოზ (ნიკო) ბეჟანის-ძე წერეთლის გარდაცვალებას ქ. ჩახრუხში. 11060

რკ. გზის მეხუთე საშუალო სკოლის ადმინისტრაცია, პედსაბჭო, ადგილკომი და ტექნიკური პერსონალი მწუხარებით იუწყებიან მშობელთა დამხმარე საბჭოს თავმჯდომარის თავდადებულ მუშაკის თამარ ახლანის ასულ ლევიცკის გარდაცვალებას. 11073

დამსახურებული პროფესორის მოსე ჯანაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად 30 ოქტომბერს 1 ს. მთაწმინდის პანთეონში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც იუწყებიან: მეუღლე სოფიო, შვილები მეუღლეებითურთ, სიძე ალექსანდრე შვილიშვილები, ძმისწულები. 11067

ცოლი სარა პატარა მაყვალათი, ძმები შალვა, გურო, კოკური, დები მარო, თამარი, სიძეები: ძიძიგური, ნინიძე იუწყებიან, რომ 30 ოქტომბერს 5 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია ალიოშა კანდელაკის სამოქალაქო პანაშვიდი. 11053

ძმები: ეტიხი და ვალოდია, დები: ანაპოლისე და მარო, ძმისწულები: ზინა და სერიოჟა სალუქვაძეები იუწყებიან ძვირფასი და დაუვიწყარი ანანიას გარდაცვალებას. 414

ტფილისის რაიკომპკავშირის თანამშრომლები: კაზარიანი, ზოკერია, ონიკაძე, აბრამაშვილი, ფოცხვერია, ჩიქობავა, კალანდაძე, ცხომარია, კვიშილაძე, მერთიშაშვილი, ჭედია მწუხარებას გამოსთქვამენ ბუხჰალტერ ვალიკო კუბულაშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო. 11088

ლუკა გიორგის-ძე ხარაძე შვილებით ანიკოთი და რუსიკოთი აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს საყვარელი ძმის და ბიძის სიმონ გიორგის-ძე ხარაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ფარცხნალში 29 ოქტომბერს. 11081

სტამბა „კომუნისტი“ გამომც. [illegible] № 6
მთავლიტის რწმუნებული ბ. 10110.